



გილოცავთ გავაფხულის ლაგა ღვასანაულს!



განსაკუთრებული მადლობა
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთის
სამხმარე-გადაცემის მსახურს

ქვირფასო ქალბატონებო, მინდა გულითადად მოგილოცოთ დედის დღე და ქალთა საერთაშორისო დღე! ეს არის განსაკუთრებული შესაძლებლობა, კიდევ ერთხელ გამოვხატო ჩემი პატივისცემა, მადლიერება და აღფრთოვანება თქვენით - თქვენი სიძლიერის, სიბრძნის და თავდადების მიმართ.

ღვასანაული ღვასანაული ყველა ქალბატონი!

ქვირფასო ქალბატონებო, გილოცავთ დედის დღეს და ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს! გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიკეთეს და წარმატებებს პირად ცხოვრებასა და პროფესიულ საქმიანობაში.

მინდა, ეს შესანიშნავი დღესასწაული - დედის დღე, განსაკუთრებით მივულოცო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის და სამშვიდობო მისიების დროს დაღუპული ჩვენი გმირების დედებს, ღმერთმა დალოცოს

ქალები უდიდეს როლს ასრულებენ როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებაში, მეცნიერებაში, განათლებაში და პოლიტიკაში. თქვენ ხართ ჩვენი ქვეყნის პროგრესის და განვითარების მამოძრავებელი ძალა, რომლის გარეშე შეუძლებელია უკეთესი მომავლის შენება.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ყოველი ქალი გრძნობდეს თავს დაცულად, თანასწორად და უსაფრთხოდ, რომ ყველა ქალს ჰქონდეს შესაძლებლობა, სრულად გამოავლინოს თავისი პოტენციალი.

გისურვებთ ბედნიერ დღეთა სიმრავლეს, ჯანმრთელობასა და წარმატებებს, როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე პროფესიულ საქმიანობაში.



ოთარ აბოლიშვილი,
გორჯონის მუნიციპალიტეტის მერი

ყველა დედა, ყველა მომავალი დედა და შვილებს კი მისცეს სიბრძნე, რომ სათანადოდ დააფასონ დედები.

თქვენი ღვასანაული ფასდაუდებელი განძია!



ღვასანაული ღვასანაული,
გორჯონის მუნიციპალიტეტის
საქართველოს მთავრობის

ქვირფასო ქალბატონებო, მთელი გულით გილოცავთ გავაფხულის ორ უმნიშვნელოვანეს დღესასწაულს - დედის დღესა და ქალთა საერთაშორისო დღეს! თქვენ ხართ მთავარი სიცოცხლის წყარო, გულწრფელი, უნაგარო სიყვარულისა და სიხარულის გამზარებელი, შვილებისთვის კი დიდი ძალა და იმედი! თქვენი ყოველდღიური შრომა, ბრძოლა შვილების უკეთესი მომავლისთვის და უზრუნველი ცხოვრებისეული პირობების

შექმნისთვის ფასდაუდებელია! ჩვენი ისტორია ხომ ქართველი ქალებისა და დედების სათნოების, გმირობის, თავდადების და გამძლეობის მაგალითია.

გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და დიდხანს სიცოცხლეს. გქონდეთ იმის ძალა და შესაძლებლობა, რომ შვილები აღზარდონ მშვიდ გარემოში, გადასცეთ და ჩაუხერხოთ სულიერი ფასეულობები, ხელი შეუწყოთ მათ განათლებულ, წარმატებულ და საამაყო ქართველებად ჩამოყალიბებას. ასევე, გისურვებთ, რომ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოთ ქვეყნის კეთილდღეობასა და უკეთესი ცხოვრებისეული პირობების შექმნაში.

კიდევ ერთხელ, მთელი გულით, გილოცავთ დედის დღესა და ქალთა საერთაშორისო დღეს. გისურვებთ ბევრ წარმატებას პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში!

ღეღასი...

რა უნდა მეთქვა, როცა შენ ხარ სიტყვაზე მეტი, ქმნადობის სივრცე ამოავსო დედის თვალებში, ახლა ვით ფრესკას, მადლნაპკურებს წყალობის ძვრებით, გიმზერ და შენით ეს სამყაროც მესათუთება... დედა გენაცვალოს! - ცხადით, სიზმრად ლოცულობ, ოხრავ ისე ფაქიზად რომ მეშინის ნაბიჯის სიღრმის, დაჩოქებისას: ვაი, დედა, თუკი წამოცდა, იქაც ეს სიტყვა ფეხშიშველი საშველად ივლის... სანამ შენ მყავხარ, დიდგულა ვარ, მთებსაც კი ვწვდები, ოდნავ მეტიც თუ ჩემს სულსა და სხეულზე მაღლა, რადგან სულ მქონდა იმ რწმენის საფრენი ფრთები, და მშობლიური მიფარავდა სულ დედის კალთა.

ნათია ჯიჟარაშვილი
4 მარტი, 2025წ.

მარხვა სინანულისა და აღდგომა სინარულისა

ილია მეორე მკაცრად მიმართავს

საქართველოს საპატრიარქო მიტევების კვირასთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის მიმართებას ავრცელებს.

- საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სულიერ შვილებს, მკვიდრთა საქართველოსათა და საზღვარგარეთ მცხოვრებთ მონაწილეობითა ღმრთისათა კვლავ დადგა დიდმარხვის წინაღღე, დღე შენდობისა და ურთიერთ ცოდვათა მიტევებისა.

ხშირად გვიჭირს ამ ნაბიჯის გადადგმა - სხვისთვის პატივის თხოვნა ან წყენის დაწინაურება, მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს მაგალითი უფლისა ჩვენი იესო ქრისტის, რომელიც ამქვეყნად მოვიდა ჩვენი ცხოვრებისთვის, აღასრულა მრავალი სასწაული (რომლებიც სრულად რომ აღვწერათ, ქვეყანაც ვერ დაიტევდა დაწერილ წიგნებს, - ბრძანებს მოციქული), განკურნა ბრძანით, მკვლობელნი, დავრდომილნი, კეთროვანნი, აღადგინა მკვდარნი... იმედი, წუგეში, სიხარული მოჰფინა მრავალთ, მაგრამ სწორედ იგი მიიჩნევს ბოროტის მსახურად და უმადლესი და, ამავე დროს, დამამცირებელი სასჯელი - ჯვარზე გაკვრა და სიკვდილი მიუსაჯეს. და ამ დროსაც კი მაცხოვარი მამა ღმერთის ავედრებდა იმ ხალხს, რომელმაც განირა და არ დაიცვა იგი და სთხოვდა, ეპატიებინა მათთვის ეს ბოროტება და არ მოეხსენებინა უსჯულოებანი მათნი.

ჩვენ, რა თქმა უნდა, მსგავსი სულიერება არა გვაქვს, მაგრამ, ძალისამებრ ჩვენი ასეთი ნაბიჯების გადადგმა ჩვენც გვმართებს, თუ გვსურს, ქრისტიანებად ვინოდებოდეთ, თუ გვსურს, მოჩვენებითად კი არ გვერქვას მორწმუნენი, არამედ რეალურად.

ღვთის გულისათვის, მონაწილე ვიყოთ ერთმანეთის მიმართ, რათა ჩვენც შეგვიწყლოს უფალმა და მოგვითქვოს შეცოდებანი ჩვენი.

მეც, მდაბალი ილია II, კათოლიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოსა, მუხლმოდრეკით გთხოვთ შენდობას ყველას, ვისაც განწყენით ნებსით თუ უნებლიეთ, ვისი თხოვნაც ვერ გავეთვალისწინე, ვისი ტკივილიც ვერ გავითავისე... შემინდეთ და მაპატიეთ ყოველი. შევთხოვ უფალს, მეოხებთან ყოველთა წმიდათა მისათა, შემინდოს შეცოდებანი ჩემნი და მომმადლოს ძალა ღვთისა და თქვენი ერთგულებისა.

ასევე, ვთხოვ ყოვლადმონაწილე იესო ქრისტეს, მეოხებითა ყოვლადმწმინდისა დედისა ჩვენი ღვთისმშობლისათა, შეგინდოს შეცოდებანი თქვენი ნებსითი და უნებლიეთნი; აღმოფხვრას ჩვენგან განკითხვის სული, შური, მტრობა და ღვაწლი. ყოველი ბოროტი საქმე და მოგვმადლოს გული გონიერი, გული წმინდა და სული წრფელი, რათა უფალმა ღმერთმა გვგვაროს ჩვენი და ჭეშმარიტების გზით წარმართოს ცხოვრება ჩვენი.

ყოვლადმწმინდა სამება მოგვანიჭოს მშვიდობა, მარხვა სინანულისა და აღდგომა სინარულისა, ამინ!



პრეს-გაგავლენა ქართული უიკიპედიის სარედაქციო

ამ რამდენიმე დღის წინათ საქართველოს პრეზიდენტმა, ბატონმა მიხეილ ყაველაშვილმა, პარლამენტში გამოსვლისას განაცხადა, - ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყურადღების მიღმა არ დაგვრჩეს დემოგრაფიული საკითხები, ჩვენ ისედაც პატარა ერი ვართ და არაერთი გამოწვევის წინაშე ვდგავართ, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ იზრუნოს ოჯახების გაძლიერებაზე, იმ პირობების უზრუნველყოფაზე, რომელსაც პოზიტიური ეფექტი ექნება დემოგრაფიული მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე. მიმაჩნია, რომ აღნიშნული საკითხი ჩვენი მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. გვჭირდება საფუძვლიანი კვლევა და შესაბამისი სტრატეგიის განსაზღვრა უწყებათაშორისი კოორდინაციის საფუძველზე. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში საპატრიარქოს როლი კვლავ უდიდესი იქნება.

მეტად საგულისხმო სიტყვა წარმოთქვა ჩვენმა პრეზიდენტმა. თუ ქართველი ხარ და საქართველო გიყვარს, უნდა გაითავისო ერის გამრავლების პრობლემები...

წელიწადში ორ-სამჯერ ჩვენს გაზეთში და „საქართველოს რესპუბლიკაში“ ვაქვეყნებთ წერილებს ქვეყანაში და კერძოდ, ბორჯომის მუნიციპალიტეტში არსებულ სტატისტიკურ მონაცემებს დემოგრაფიულ პრობლემებზე. ვფიქრობ, პრობლემების გადაწყვეტის გზებს. სამწუხაროდ, ვითარება წლიდან წლამდე სულ უფრო საგანგაშოა.

ორიოდე თვის წინ, საქართველოში ჩატარდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერა. ნეტავ, არ გავცნობოდი წინასწარ მონაცემებს, თების ფურცლებზე და სოციალურ ქსელში გამოქვეყნდა. თუ ამ 30-35 წლის წინ საქართველოს მოსახლეობა მსოფლიო მოსახლეობის 1,5 პროცენტს შეადგენდა და ყოველ ათიათას კაცში 5 სა-

რაა. ამ საგალალო შედეგებით ვხვდებით, დედის დღეს და ქალთა საერთაშორისო დღესასწაულებს.

სამჯერ თუ ოთხჯერ გადავამოწმე სტატისტიკის წინასწარი მონაცემები. 2024 წლის აღწერით საქართველოში 1340000 ეთნიკური ქართველი ცხოვრობს. ეს მაშინ, როცა საქართველოში საცხოვრებლად შემოსახლებულთა გამრავლება უკვე თვალსაჩინოა. ხელთ მაქვს ცნობილი ქართველი დემოგრაფის, პროფესორ ანზორ თოთაძის მიერ გამოქვეყნებული მასალები. 2 მილიონზე მეტი ქართველი ქვეყნის გარეთ ცხოვრობს, აქედან 1200 ათასი რუსეთში, 500 ათასი - თურქეთსა და საბერძნეთში, დანარჩენი მსოფლიოს არის მოდებული.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის გადარედაქციო, დედის დღესასწაული, 224 ოჯახი პრეზიდენტის დახმარებასთან

მათივე ცნობით, ფულადი დახმარება მიიღო მრავალშვილიანმა (ოთხი და მეტი შვილი) და 18 წლამდე შშმ პირების ოჯახებმა.

აღსანიშნავია, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტი 18 წლამდე შშმ პირების, ოთხი და მეტი შვილიან ოჯახებს ფულადი თანხით ყოველთვიურად ეხმარება, წელიწადში ერთხელ ფინანსდება სტაციონარული პროგრამით. ასევე ახალი წლისა და აღდგომის დღესასწაულზე სარგებლობენ დახმარებით.

მათ აქვთ შეღავათები, როგორც ელექტროენერგიის ასევე ბუნებრივი აირის გადასახადზე.

აღნიშნული სოციალური პროგრამა რამდენიმე წელია რაც მოქმედებს. მისი მიზანია შშმ პირების და მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური და მორალური მხარდაჭერა და რაც მთავარია, ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება, - ნათქვამია ინფორმაციაში.



ნეტავ, შეცდომა იყოს ის ციფრები, რომლებიც გავს - ქართველოს მოქალაქე იყო, ახლა ერთი პროცენტიც აღა-

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

პრის გამრავლება ქართველთა უპირველესი საზრუნავია!

(გაგრძელება)

ცნობილი მწერალი **ოთარ ჭილაძე** წერს, - ებრაელები 25 საუკუნე საკუთარი სახელმწიფოს გარეშე იყვნენ მიმოხვედნი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. როგორც კი ისრაელის სახელმწიფო შექმნეს, ებრაელთა 80-90 პროცენტი მშობლიური სახელმწიფოს ასაშენებლად დაირაზმა და ისრაელში ჩავიდა. უმოკლეს დროში დიდებული სახელმწიფო შექმნეს და დამსახურებული ავტორიტეტითაც სარგებლობენ მსოფლიოში, მათ სიტყვას დღეს დიდი ფასი აქვს და მსოფლიო უსმენს.

ჩვენ, როგორც კი თავისუფლება მოვიპოვეთ, საქართველო ქართველებისგან დაიცალა, მშობლიური სახლ-კარი მიატოვეს და საშოვარზე საზღვარგარეთის ქვეყნებში გაიფანტნენ, ზოგი მეზოვედ, ზოგიც მოხუცთა და ავადმყოფთა მომვლელად, ზოგიც ღირსებაშემლახავ, მეტწილად აუტანელ, დამამცირებელ სამუშაოს ასრულებენ. იმ პროფილის სამუშაოს, რასაც იქ ასრულებენ, ჩვენ სამშობლოში უკადრისობენ და თავზე მამალ ბუზსაც არ ისვამენ. როგორც თვითმხილველნი ამბობენ, ბევრი ემიგრანტი კიდევ მათხოვრობს და ქურდობს. ევროპის სახელმწიფოების ციხეები სავსეა თურმე ქართველებით, თითქმის ყოველკვირა არაერთი ინფორმაცია ქვეყნდება მათი „საგმირო საქმეების“ შესახებ, ბევრი პოლიტიკურ დევნილებად დადგენენ ალრიცხვანზე.

სამწუხაროდ, საქართველო-სადმი დიდი ნოსტალგია აქვთ, თუ ვინმე გარდაიცვლება, ან დერძად აქვთ დატოვებული თხოვნა-მუდარა, საზღვარგარეთ არ დამმარხოთ, საქართველოში გადამასვენეთო. მათთვის საქართველო დღეს ერთ დიდ სასაფლაოდაა გადაქცეული.

მინდა ვიკითხო, ოცი-ოცდაათი წელი რომ საზღვარგარეთ მუშაობენ, რით ვერ დააგროვეს საქართველოში სახლის

ყიდვის, თუ შვილის უმაღლესი სწავლის ფული? სამწუხაროდ, ემიგრანტებს ევროპული სახელმწიფოები საკუთარ ხალხთან შედარებით 2-3-ჯერ ნაკლებ გასამრჯელოს უხდიან.

ძალიან მაინტერესებს, ვინ ააშენოს დანგრეული და მიწასთან გასწორებული საქართველო, სადაც 30-35 წელია აქციებისა და მიტინგების მეტი ერთი თვეც არ გვიცხოვრია და ერთმანეთის შუღლსა და დაპირისპირებაში გადის ძვირფასი დრო.



რისპირებაში გადის ძვირფასი დრო. ხელისუფლებას ბუნების ნიღბი სიარული უწევს, რათა როგორმე ქვეყანაში მშვიდობა შეინარჩუნოს, გარეშე და შიდა მტრების მოგერიებას ვუნდებით, ოპოზიციას არც ჩატარებული არჩევნების შედეგები აწყობს და არც პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, უკეთესი კი ვერაფერს გვთავაზობენ, გარდა იმისა, რომ ევროპარლამენტში ჩააქვთ ქვეყნის დამაქცევარი წერილები და ფირმანები.

საქსტატის მონაცემებით 2023 წელს საქართველოდან 120 ათასი ადამიანი წავიდა ემიგრაციაში. იმავე 2023 წელს საქართველოში 26 ათასი ემიგრანტი შემოვიდა და საქართველოში დარჩა საცხოვრებლად.

მართლაც არანორმალური ვითარებაა, ქართველები მშობლიურ სამშობლოს ტოვებენ და უცხოეთში მიდიან სამუშაოდ, უცხოელთაგან კი საქართველოში ჩამოდიან საცხოვრებლად და ისე ბედნიერად გრძნობენ თავს, რომ თავიანთ ქვეყანაში დარჩენილ

თანამოძმეებს ეპატიუებიან ჩამოსასვლელად.

ვერ ნახავთ მოხუცებულ და ასაკოვან მოღუშულ უცხოელს, მხოლოდ აქტიური ასაკოვნები არიან და აქტიურადაც მრავლდებიან.

ქართველების ტოლერანტობას ვერავინ გვასწავლის, ამის დასტურად დღეს ჰარმონიულად, გვერდიგვერდ დგას თბილისში სიონი, მეჩეთი და სინაგოგა.

იცით, თუ არა, რომ ბოლო სტატისტიკური მონაცემებით, 2023 წელს დაიბადა 40214 ახალშობილი და გარდაიცვალა 42756 ადამიანი.

ახლა ბორჯომის მუნიციპალიტეტის დემოგრაფიულ სტატისტიკას გაგაცნობთ.

1989 წლის აღწერით ბორჯომის რაიონში 39,5 ათასი ადამიანი ცხოვრობდა, მათ შორის ქართველები 65 პროცენტი იყო.

2024 წლის მონაცემებით სულ ბორჯომის მუნიციპალიტეტში წინასწარი მონაცემებით 24,5 ათასი ადამიანი ცხოვრობს, ქალაქ ბორჯომში 11,2 ათასი, ახალდაბა, ბაკურიანი, ნაღვერი, ანდუზიტი. საქალაქო დასახლებები და 4,2 ათასი ადამიანი ცხოვრობს, სასოფლო დასახლებებში - 9,2 ათასი. 2023 წელს იქორწინა - 177 წყვილმა, განქორწინდა - 83 (თითქმის ნახევარი), ამავე პერიოდში დაიბადა - 217 ახალშობილი, გარდაიცვალა - 361 ადამიანი. ბორჯომში ყოველი მესამე-მეოთხე ბინა დაკეტილია და მეპატრონე ემიგრაციაში წასული.

იცით, თუ არა, რომ საქართველოში ბოლო მონაცემებით ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარი ქართველი ბერიძეა - (14963 მამაკაცი), მეორე გვარია, მამედოვი - (14482 მამაკაცი), მესამე, კაპანაძე - 9538 და მეოთხე-ალიევი - 9298. ქალებში პირველ ადგილზე ბერიძე - 15059 და მეორე მამედოვი - 13487. როგორ მიგაჩნიათ, ნორმალურია ეს სტატისტიკა? კი ბატონო, ყველა საქართველოს შვილია, მაგრამ ეთნიკურად რომ ეს მდგომარეობაა, სიმწრის ოფლს ხომ არ გასახამთ?

ამას წინათ გამოქვეყნებულ კიდევ ერთ სტატისტიკურ მონაცემებს გაგაცნობთ. 1991 წელს საქართველოში - 4,8 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა. 2024 წელს საქართველოს მოსახლეობა 22,92 პროცენტით შემცირდა და 3,7 მილიონი დარჩა. აზერბაიჯანის დემოგრაფიული მონაცემები ამავე წლებში 88,89 პროცენტით გაიზარდა ტაჯიკეთის - 43,06 პროცენტით, ყაზახეთის - 23,17 პროცენტით, უზბეკეთის - 79,43 პროცენტით, თურქმენეთის - 70,27 პროცენტით, ყირგიზეთის - 65,95 პროცენტით. ჩვენზე უკეთესი მაჩვენებელი აქვს სომხეთს, ლიტვას და რუსეთს, ხოლო საქართველოზე უარესი მდგომარეობა აქვთ, უკრაინას, მოლდოვას და ლატვიას.

თუ ასეთი დემოგრაფიული P.S. დაკნინებულია საქართველო, რადგან ტერიტორიის 20 პროცენტი ოკუპირებულია;

ტრეზიანია საქართველო, რადგან 2 მილიონამდე საქართველოს მოქალაქე ცხრა მთის იქითაა გადახვენილი;

გულდაწყვეტილია საქართველო, რადგან დედაქალაქში ავერ 100 დღეზე მეტია გრძელდება ენ. „მშვიდობიანი“ აქციები, პარლამენტის წინ იკრიბებიან ადამიანები, მაგრამ „მდუმარე“ მათი აქცია. კაცი ვერ გაიგებს რისთვის იკრიბებიან, ვინ ხელმძღვანელობს აქციას?

ასეთი უღიმღამო ახალი წელი საქართველოს და ქართველ ხალხს დიდიხანა არ გაუთენდება.

სევდიანია საქართველო, რადგან ამდენი შიდა და გარე მტერი არასდროს ყოლია. საცოდაობაა, სატირალი ისიცაა, რომ შინაური მტრები უფრო აქტიურობენ ქვეყნის, სახელის შელახვისათვის და სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოშლისათვის, ვიდრე გარეული მტრები.

შეშფოთებულია საქართველო, დიდთვლობამ არნახული პრობლემები შეუქმნა მოსახლეობას დასავლეთ საქართველოში, ყველა, ვისაც ქართველი ერი უყვარს, ყოველმხრივ ეხმარება ხელისუფლებას სტიქიის ლიკვიდაციაში, გარდა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებისა. კი, მაგრამ, რამ შეაძულა ამ ადამიანებს საქართველო და ქართველები?!

პაუზიან ლომიძე

მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა ყოველწლიურად უმჯობესდება

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა, ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლებისათვის უმთავრესი საზრუნავია. სწორედ ამიტომაც, აღნიშნული მიმართულებით პროგრამაში ყოველწლიურად გარკვეული სახის ცვლილებები შედის. 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტის ფარგლებში მოსახლეობის უზრუნველყოფის მიზნით გათვალისწინებულია: ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განცხადებით მიმართვამდე უწყვეტად არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში რეგისტრირებული ან მუდმივი ბინადრობის მონმობის მქონე მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის, სოციალური პრობლემის გაუმჯობესების მიზნით, გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, მორალურ და ფსიქოლოგიურ თანადგომას, ეკონომიკური პრობლემის გაუმჯობესებას.

დღეს ადგილობრივ დონეზე 24 ქვეპროგრამა მოქმედებს. 2025 წლიდან კი არსებულ პროგრამებს რამდენიმე პროგრამაც დაემატა.

სოციალური პროგრამა ითვალისწინებს „ახალდაბადებულ ბავშვთან ოჯახების დახმარებას“.

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გათვალისწინებულია 150-მდე ოჯახზე.

ახალშობილის შეძენისას ყოველი ოჯახი პირველ შვილზე ერთჯერადად მიიღებს 1000 ლარს, მეორეზე - 2000 ლარს, მესამეზე - 3000, მეოთხეზე - 4000, მეხუთეზე - 5000 ლარს და ა.შ.

ახალშობილის ოჯახი ორი წლის მანძილზე ყოველწლიურად მიიღებს 200 ლარს. პროგრამა დიდ გავლენას იქონიებს ერის დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. (ტყუ-

ბი ახალშობილის შეძენისას პირველ შვილს -1000, ხოლო მეორეს - 2000 ლარი გადაეცემა და ა.შ.)

მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბორჯომის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრები რეგისტრირებული მოსახლეობის სხვადასხვა ფენის მედიკამენტებით უზრუნველყოფას.

ერთჯერადად 200 ლარით დაფინანსდებიან შშმ სტატუსის მქონე პირები, კერძოდ: ქნცეფალოპათიით, პარკინსონის დაავადებით (კანკალა რიგდრული ფორმით) და 18 წლამდე ასაკის ეპილეფსიით დაავადებული პაციენტები. ასევე კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ჯანმრთელობის პრობლემის მქონე იმ ბავშვების მედიკამენტებით უზრუნველყოფა, რომლის მიმართაც მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მუშაკის მიერ ბავშვისა და ოჯახის შეფასების შემდეგ შემუშავებულია ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმა.

200 ლარით დაფინანსდება ოჯახის მცხოვრები ჯანმრთელობის პრობლემების მქონე თითოეული ბავშვი.

სოციალური ღონისძიებები

პროგრამა ითვალისწინებს 18 წლამდე ასაკის შშმ პირების მეურვეობაზე ყოველწლიურ 200 ლარიან მატერიალურ დახმარებას.

მრავალშვილიან (ოთხი ან მეტი შვილი) და 18 წლამდე შშმ ბავშვიან ოჯახის დედაზე 150 ლარის ერთჯერად დახმარებას 3 მარტის „დედის დღის“ აღსანიშნავად.

მრავალშვილიანი, მარტოხელა და სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შშმ პირის ოჯახების კომუნალური გადასახადების ნილობრივ დაფინანსებას ქვეყნდება მრავალშვილიანი ოჯახები, მარტოხელა მშობლები და სოციალურად დაუც-

ველი (სარეიტინგო 160000 ქულით) 18 წლამდე შშმ პირის ოჯახების კომუნალურ გადასახადებზე (ელ. ენერგია და ბუნებრივი აირი) შეღავათებს (ბუნებრივ აირზე - 40 ლარი, ელ.ენერგიაზე-20). ყოველწლიურად ოჯახის სურვილით 60 ლარი დაერიცხება არჩეულ კომუნალურ გადასახადზე.

ქვეპროგრამა ასევე ითვალისწინებს „ცელიაკიის“ დიაგნოზის მქონე ბენეფიციარის დახმარებას ყოველწლიურად 150 ლარის ოდენობით (ქრონიკული აუტოიმუნური დაავადება).

ასევე ითვალისწინებს 18 წლამდე რეინტეგრირებული ბავშვების ყოველწლიურ 200 ლარიან დახმარებას.


18 წლამდე კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი სტატუსის მქონე ბავშვებზე სასწავლო პროცესის ხელშეწყობა ითვალისწინებს ერთჯერადად 300 ლარის დახმარებას.

პერსონალური ასისტენტის სერვისის ქვეპროგრამა ითვალისწინებს 18 წლის და მეტი ასაკის შშმ პირებს, რომელთაც ესაჭიროებათ პერსონალური ასისტენტის მომსახურება.

მომსახურების მიღების მსურველი პიროვნება ქვეპროგრამაში ითვება ჯანდაცვის სამინისტროს მიერ სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ჩატარებაზე უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულების მიერ მომზადებული პერსონალური ასისტენტის საჭიროების საფუძველზე.

რეგულარული ასისტენტების საჭიროების მქონე პირის შემთხვევაში მომსახურება ითვალისწინებს თვეში არაუმეტეს 60 საათს. თვეში არაუმეტეს 720 ლარის ანაზღაურებით.

დედა არასდროს ბერდება



დიახ, დედები არასდროს ბერდებიან, ან რატომ უნდა დაბერდნენ. ისინი თითოეული ჩვენგანისთვის ყველაზე სანდო და საყვარელი ადამიანები არიან. მათ ხომ სიცოცხლე გვაჩუქეს. ვინ მოთვლის, რამდენი ლექსი და სიმღერა მიუძღვნეს დედებს. რამდენი სიტოხი და სიყვარულია დედებისადმი. თუნდაც ის, რომელიც ყველამ იცის, - „სანამ დედა მყავს, არ დავბერდები“. ნადვილად გულში ჩამწვდომია ეს სიტყვები.

დედა ჩვენი ცხოვრების თანამგზავი იყო დაბადებიდან გარდაცვალებამდე. მცირეოდენი ტკივილის პასუხად - „ვინ დედას“ ვიძახით, დედის გინებას არავის ვპატივობთ.


იმითომ რომ, დედა ჩვენივე წმინდანაა მერაცხული. არ გვაქვს უფლება, დედა არ გვიყვარდეს. ამიტომაცაა, რომ ყოველი წლის 3 მარტს „დედის დღეს“ ვხეიმობთ.

დედის და ქალთა სადღესასწაულო დღეებს გილოცავთ, ბედნიერება და სიხარული არ მოგკლებოდეთ!

ჯუშაპა ქარბანიძე.

ბორჯომის საკრებულოს თავმჯდომარს მოადგილე.

ქალი სათამაშო არ არის



დროებით რომ გვერდით გვყავდეს. დარდი გაგიქარვოს და შედეგ გადაგდო.

ქალი არც მოსამსახურეა, დილიდან საღამომდე სახლში რომ გყავდეს გამომწყვდეული.

არც ფსიქატრია, ყველა შენი სიგიჟე რომ გამოავლინოს.

ქალი პიროვნებაა, ადამიანია, რომელიც ზუსტად ისე, როგორც შენ გჭირდება მზრუნველი და გამგები ადამიანი გვერდით.

პატივით ქალი, დედა – სიხოსხლის საყიისი!

მაია გულიაშვილის ისტორიული არჩევანი

მეხერ, გაღვრებით და ისტორიის ნათელ მხარეს ავირჩევთ!



● **საინტერესოა ისტორიკოსის ხედვა დღეს, საქართველოში მიმდინარე პროცესებთან, ევროპულ არჩევანთან დაკავშირებით?**

- ევროპა ჩვენი და ჩვენი წინაპრების დიდი ხნის წინ გაკეთებული არჩევანია. ქრისტიანობის გამოცხადება სახელმწიფო რელიგიად, ეს უკვე არჩევანი იყო. ქრისტიანობა საფუძვლად უდევს ევროპულ ცნობიერებას. ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნეში ამბობდა ვახტანგ გორგასალი, როცა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია გამოცხადდა: „ნუ დაუტევებთ გზასა ბერძენთასა“.

● **ყველაზე დიდი ისტორიული გადაწყვეტილება ჩვენი სამშობლოს ისტორიაში?**

- ჩვენი ქვეყნის ისტორიას ყოველთვის თან სდევდა მრავალი გამოწვევა. მიუხედავად ამისა, ქართველი ერი მაინც ახერხებდა საჭირო დროს სწორი ისტორიული გადაწყვეტილების მიღებას. ალბათ, ამან გადაგვარჩინა და მოგვიყვანა დღემდე. მაგალითი მრავლად შეგვიძლია დავასახელოთ. თანამედროვე ეპოქაში კი ვფიქრობ, ყველაზე დიდი ისტორიული გადაწყვეტილება იყო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება 1991 წლის 9 აპრილს.

● **რა მოლოდინი გაქვთ ქვეყნის განვითარების თვალსაზრისით?**

- ჩვენი რეგიონის ქვეყნები დაყოფილი არიან ორ ბლოკად: ერთ მხარეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნებია და მეორე მხარეს - რუსეთი. დანარჩენი ქვეყნები ან ერთის მხარდამჭერები არიან, ან მეორის. ჩვენ შემთხვევაში უნდა განვიხილოთ, რას მოგვცემს ან ერთის, ან მეორის პარტნიორობა თუ წევრობა. ნეიტრალიტეტს არ განვიხილავ, რადგან ამის მწარე ისტორიული გამოცდილება გვაქვს. ნეიტრალიტეტი ნიშნავს - რუსეთის პირისპირ დარჩენას, რასაც აუცილებლად მოჰყვება ჩვენი სახელმწიფოებრიობისა და სუვერენიტეტის დაკარგვა.

თუ ემოციების გარეშე და რაციონალურად მივუდგებით საკითხს, უნდა განვსაზღვროთ, რას წარმოადგენს თანამედროვე რუსეთი და რას - დასავლეთი, სადა არის ჩვენი ინტერესები, რა ურთიერთობა აქვთ რუსეთსა და და-

ქალბატონ მაია გულიაშვილს ბორჯომის საზოგადოება კარგად იცნობს. სპეციალობით ისტორიკოსს სამშობლოში განვითარებულ მოვლენებზეც ისტორიული ხედვა აქვს. ინტერვიუში, მის არჩევანზე, თვითონ გვიამბობს.

სავლეთს ჩვენთან და რა ურთიერთობა უნდა გვქონდეს ჩვენ მათთან.

აქედან გამომდინარე არჩევანის გაკეთება გვიწევს დემოკრატიასა და ტოტალიტარიზმს შორის.

● **გვითხარით 3 არგუმენტი თქვენს პოზიციასთან დაკავშირებით, რატომ ფიქრობთ ასე?**

- თანამედროვე რუსეთი არის ავტოკრატიული სახელმწიფო, რომელსაც მართავს დიქტატორი; სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლება აღმასრულებელისგან განცალკევებული არ არის; ოპოზიციის ყველა სერიოზული ლიდერი ან დაჭერილია, ან მოკლული, ან სახელმწიფოსგან დევნილი და შევინროებული. რუსეთში კლავენ უფლებადამცველებს, სხვადასხვა გზებით აკონტროლებენ სამოქალაქო საზოგადოებას და ფაქტობრივად, არ გააჩნიათ გავლენიანი დამოუკიდებელი მედია.

ნატოს ლიდერი ამერიკის შეერთებული შტატებია. ამ ქვეყანაში არსებობს პოლიტიკური ოპოზიცია, რომლის წევრებსაც არ დევნიან და არ კლავენ. სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლებები დამოუკიდებელია და გამოყოფილია აღმასრულებელი ხელისუფლებისგან. სამოქალაქო საზოგადოება თავისუფალია სახელმწიფოს გავლენისგან და სახელმწიფო არ აკონტროლებს მედიას.

რაც შეეხება ევროკავშირს, ევროკავშირიც სწორედ ქრისტიანულ საფუძვლებსა და მორალზე დგას, რაც მას საშუალებას აძლევს, იყოს მრავალფეროვანი და თავისუფლების იდეაზე დაშენებული ერთობა.

არ შემოძლია, არ შევცხო ნარატივს, რომელიც ხშირად ვრცელდება სხვადასხვა პროპაგანდისტული საშუალებებით, რომ თითქმის ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის ოჯახური ღირებულებები, ფასულობები და ტრადიციები უცხოა და აღნიშნული შეხედულების „არგუმენტად“ სახელდება: ქრისტიანთა ქორწინების იძულება, ქრისტიანობის უარყოფა, ტრადიციების იგნორირება და სხვა. ეს რომ პროპაგანდაა, ამის დასტურად ფაქტები მეტყველებს. ჩამოთვლილთაგან შევცხები ჩვენი საზოგადოებისთვის ყველაზე სენსიტიურ თემას, როგორიცაა ერთსქესიანთა ქორწინება. ევროკავშირი არ ითხოვს არც საკუთარი წევრი სახელმწიფოებისა და არც მისი კანდიდატი ქვეყნებისგან, მათ შორის საქართველოსგან, არც წერილობითი და არც ზეპირი სახით, ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას. ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყანა, სადაც ერთსქესიანთა ქორწინება დაკანონებულია,

მოქმედებს საკუთარი მოსახლეობის შეხედულებების (არჩევანის) შესაბამისად. ყველა იმ ქვეყანაში, სადაც დაშვებულია ერთსქესიანთა ქორწინება, გადანაცვლებულია მიღებული იქნა ამ ქვეყნების მოსახლეობის უმრავლესობის მიერ რეფერენდუმის გზით და ეს გადანაცვლებულია არანაირად არაა დაკავშირებული არც ევროკავშირის ვალდებულებასთან და არც სხვა რაიმე მოთხოვნასთან. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არიან ისეთი სახელმწიფოები, სადაც ერთსქესიანთა ქორწინება აკრძალულია: პოლონეთი, ლიეტუვა, ლატვია, სლოვაკეთი და ბულგარეთი. უფრო ნათელი მაგალითისთვის, ხორვატიაში ქორწინება კონსტიტუციაში განმარტებულია, როგორც ქალისა და კაცის თანაცხოვრება.

სრულყოფილება არ არსებობს და მათ შორის არც ამერიკისა და ევროპის დემოკრატიაა სრულყოფილი, მაგრამ ამის მიუხედავად, დასავლეთში არის ისეთი დემოკრატია, როგორიც რუსეთში არ არის, არც არასდროს ყოფილა და ვეჭვობ, რომ არც უახლოეს მომავალში იქნება.

დღევანდელი ჩვენი არჩევანი დასავლეთსა და რუსეთს შორის არის გარდაუვალი არჩევანი, რომელიც უკვე გაგაკეთეთ და რომლის შესანარჩუნებლადაც ძალ-ღონე არ უნდა დავიშუროთ. უწინარესად, ეს არის არჩევანი დემოკრატიულ ქვეყნებსა და ავტორიტარულ, რეპრესიულ ქვეყანას შორის.

● **რას უსურვებდით საქართველოს? თქვენი ოცნება სამშობლოსადმი?**

- სიმშვიდეს და სწორ ისტორიულ გადაწყვეტილებას ამ უმნიშვნელოვანეს გზაგასაყარზე.

მინდა შესრულდეს კონსტიტუციის 78-ე მუხლი. მოხდეს საქართველოს ინტეგრაცია ნატოსა და ევროკავშირში, რადგან ნატო ჩვენი უსაფრთხოებაა, ევროკავშირი კი ეკონომიკური კეთილდღეობა, რაც გულისხმობს: ეკონომიკის ზრდას, ფასების სტაბილურობას, სოციალურ საბაზრო ეკონომიკას, შიდა ბაზრის შექმნას, გარემოს დაცვას, სოციალური სამართლიანობისა და კულტურული მრავალფეროვნების უზრუნველყოფას, ასევე, ეროვნული იდენტობის პატივისცემის აუცილებლობას, თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცის შექმნას.

P.S. ჩვენს ირგვლივ იმპერიები იმსხვრეოდა და ჩვენ გადავრჩით... მჯერა, რომ დღესაც გადავრჩებით და ისტორიის ნათელ მხარეს ავირჩევთ.

მომავალი
იუა იანაპაშვილი

ქალიან მიყვარხარ, შვილო...

12-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ ჩემმა ცოლმა მოისურვა, რომ ერთ დღეს სხვა ქალი დამეპატიჟებინა ვახშმად. მითხრა, ძალიან მიყვარხარ, მაგრამ ვიცი, არსებობს სხვა ქალიც, რომელსაც ასევე ძალიან უყვარხარ და ძალიან ბედნიერი იქნება, თუ მასთან გაატარებ დროს.

მართლაც, „სხვა ქალი“, რომელსაც ცოლი გულისხმობდა, ოცნებობდა ჩემთან რამდენიმე საათის გატარებაზე. ის დედაჩემი გახლდათ, რომელიც 19 წლის წინ დაქვრივდა.

მე კი სამი შვილისა და სამსახურის გამო მხოლოდ ტელეფონით ვახერხებდი მის მოკითხვას, ნახვით კი წელიწადში ერთხელაც ძლივს ვნახულობდი და მაშინაც გადარბენაზე.

საკუთარ დედასთან შეხვედრაზე ცოლს უარს როგორ ვეტყვი?! ავდექი და საღამოს დაუურეკე, ვახშმად და კინოში დავბატიყე.

- რა მოხდა, ხომ კარგად ხარ? - შემფოთებულმა მკითხა. დედა ზუსტად ის ქალია, ყოველთვის ცუდზე რომ ფიქრობენ და ტელეფონის ზარიდან მხოლოდ ცუდ ამბებს ელიან.

- რა უნდა მომხდარიყო, უბრალოდ ვიფიქრე, ესიამოვნება ჩემი ნახვა-თქო, - ვუპასუხე მე.

დედა დაფიქრდა და... დამთანხმდა. პარასკევს სამსახურის მერე გავუარე. თქვენ წარმოიდგინეთ, ვნერვიულობდი. მანქანა რომ მისი სადარბაზოს წინ გავაჩერე, უკვე კართან იდგა. შევამჩნიე, რომ ისიც ღელავდა.

სახლის კართან იდგა. მხრებზე პალტო მოესხა, თმა დაეხვია, კაბაც ვიცანი - ქორწინების ბოლო წლისთავზე ეცვა.

- ჩემს მეგობრებს ვუთხარი, შვილმა რესტორანში დამბატიჟა-მეთქი. ყველა დანაღვლიანდა, - მითხრა დედამ მანქანაში ჩაჯდომის შემდეგ.

რესტორანში მივედი. მდიდრული არა, მაგრამ სამაგიეროდ ლამაზი და მყუდრო იყო. დედა ხელზე დამეყრდნო და ისე ამაყად მომყვებოდა, თითქმის პირველი ლედი იყო.

რომ დავესხედით, მენიუ მე წაუკითხე - დედა წერილ შრიფტს ველარ არჩევდა. ნახევარი რომ წაუკითხე, ავხედე - დედა მიყურებდა, სახეზე კი ნოსტალგიური ღიმილი დასთანამებდა.

- პატარა რომ იყავი, მენიუს მე გიკითხავდი.

- და დროა, ვალი დაგიბრუნო არა? - ვუპასუხე მე.

გულიანად ვისაუბრეთ. ერთმანეთს ჩვენი-ჩვენი ახალი ამბები მოვუყევით. ისე კარგად ვჭუჭყუებდით, რომ ფილმის დანყების დრო გამოგვეპარა და კინოში დავაგვიანეთ.

სახლში რომ მივიყვანე, მითხრა: „კიდევ ერთხელ წამოგყვები რესტორანში, მაგრამ ამჯერად მე დაგაბატიჟებ“. დავთანხმდი.

- როგორ ჩაიარა საღამომ? - დაინტერესდა ჩემი ცოლი.

- იმაზე უკეთ, ვიდრე წარმომედგინა.

რამდენიმე დღეში დედა ინფარქტით გარდაიცვალა. ისე სწრაფად დალია სული, მისთვის ვერაფრის გაკეთება ვერ მოვასწარი. გავიდა კიდევ რამდენიმე დღე და იმავე რესტორნიდან გადახდის ქვითარი გამომიგზავნეს. მას წერილიც მოჰყვა:

- ჩვენი მეორე ვახშმის ანგარიში წინასწარ გადავიხადე. მართალია, არა ვარ დარწმუნებული, რომ ერთად ვახშმობას კიდევ მოვახერხებთ, მაგრამ მაინც 2 კაცზე გადავიხადე - შენი და შენი ცოლისთვის. ვერასოდეს აგიხსნი, რას ნიშნავდა ჩემთვის ის ვახშამი, რომელიც შენ მომიწყვე. ძალიან მიყვარხარ, შვილო...

აპოლონი უსნოზია

მადლიერი აღამიანი უფალს უყვარს

გაზეთ „ბორჯომის“ მცირერიცხოვან კოლექტივს 2024 წლის მარტში ახალი თანამშრომელი შემოუერთდა, საოცრად ერთგული და უკეთილშობილესი პიროვნება, ქალბატონი **ირმა მახაშვილი**. სწორედ მისი დახმარებით მდიდის ყოველი კვირის ხუთშაბათს გაზეთ „ბორჯომის“ ახალი ნომერი ჭობისზეში მცხოვრებ მკითხველამდე.

გაზეთების წაღების დღეს ჩქარი ნაბიჯით მოიჩქარის ხოლმე რედაქციისაკენ, ავტობუსს უნდა მივუსწრო, მკითხველები მელიდებიათ. საოცარი პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას, თითოეულ მკითხველს. მისი რედაქციაში მოსვლის პერიოდში, სოფელ ჭობისხევში, გაზეთის მხოლოდ 6 გამომწერი იყო. დღეს კი მათი რიცხვი სამოცდაათს შეადგენს. და ეს გაზრდილი ხელისმომწერთა რაოდენობა ქალბატონი ირმას დიდი მონდომებისა და დაუღალავი მუშაობის შედეგია.

ქალბატონ ირმას მეუღლე და ერთი ვაჟი ჰყავს. სამსუხაროდ, მისი მეუღლე პირველი ჯგუფის ინვალიდია, აფხაზეთის ომის მონაწილეა. ბოლო წლებია მას რთული დაავადება, დემენცია დაუდგინდა. აქედან გამომდინარე, საკმაოდ დიდ ყურადღებას და მოვლა-პატრონობას საჭიროებს. სამსუხაროდ, ოჯახი სოციალურ დახმარებას არ იღებს. მათი შემოსავალი ძირითადად ირმას ხელფასზეა. არანაირ შრომას არ თაკილობს. სეზონზე, თანასოფლელებს, ვისაც სათბურები აქვთ, მოსავლის გამარგვლაში, დარჩევამი ეხმარება. რამდენიმე დღის



ხინ რედაქციაში მოიბრინა, ახალ აბონენტთა სია მოიტანა და გვთხოვა, მინდა გაზეთის სამუშაოები მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც გვერდში მიდგას და მეხმარება. რა თქმა უნდა, სიამოვნებით დავთანხმდით.

- პირველ რიგში მინდა მადლობა გადავუხადო ჩემ თანასოფელელს, უკეთი-

ლშობილეს ქალბატონს, **ნანა ჭანტურიას**, რომლის უშუალო შუამდგომლობითაც მოვხვდი გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციაში, ასევე გაზეთის რედაქტორს, ბატონ **ვალერიან ლომიძეს**, რომელმაც საოცარი სიბოროტი მიმიღო და არასდროს დამავინცდებ პირველი შეხვედრა, ასევე თქვენ, გაზეთის თითოეულ თანამშრომელს, რომლებიც ყოველთვის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მხვდებით. აქ მოსვლა ყოველთვის მიხარია და ეს თქვენი დამსახურებაა. **ვაჟა გელაშვილს**, ბორჯომში, სათნოების სახლის ხელმძღვანელს, რომელმაც დაუშვა გამონაკლისი და ჩემთვის ყოველთვის მზად აქვს განსაზღვრული ულუფა, თანასოფლელებს, რომლებმაც კარგად იციან, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩემთვის გაზეთის თითოეული ხელმომწერი.

დღეს კი მიხარია, რომ ექვსი მკითხველიდან სამოცდაათ მკითხველამდე ავედი. დიდი მადლობა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიას და უშუალოდ მერს, ბატონ **ოთარ არბოლიშვილს**, რომელსაც გულთან მიაქვს ჩემი გასაჭირი და საკმაოდ ძვირადღირებული მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა სრულად დამიფინანსეს.

P.S. ჩვენ კი გვინდა უდიდესი მადლიერების მქონე ქალბატონს, გაზეთ „ბორჯომის“ სახელით მივულოცოთ მარტის დღესასწაულები, პირველ რიგში ჯანმრთელობა და ყოველთვის საუკეთესო ვუსურვოთ, რადგანაც სწორედ მის მსგავს ქალბატონებზე დგას დღეს ქართული ოჯახების სინამდვილე და კეთილდღეობა.

მომავალი
ნათო მელიქიძე

„ის ქაყანა ღმრთისმყოფაჲს ეპოვინის...
საქართველო ღმრთის ქაყანაა...
ყველაზე ღმრთიერი სიყვანა „ღაღა“...
ღაღები არ უნდა ღარდობდნენ, მარტო მინის სულ სჭიკით...
იმით სხანაირი სიყვარული შეუძლიათ და იმიტომ...“

საოცარია, იყო დედა. დედობა ერთი დიდი თავგადასავალია, რომელიც უდიდეს გამგებობას მოითხოვს. ის გამონგევაა, რომელიც არასდროს გზავნის და რომელიც მხოლოდ დედამ იცის. შვილების გაზრდა-აღზრდა უდიდესი ტვირთიცაა და პასუხისმგებლობაც... დღევანდელ რთულ პერიოდში, როცა 24 საათი არ გვეყოფნის ერთი დღის საქმეების მოსასწრებად, იყო მრავალშვილიანი დედა, გქონდეს შენი საფუძვლი, პრობლემა, ამავდროულად მუშაობდე, ახერხებდე კარგ დიასახლისობასაც, კარგ მეუღლეობასაც და რაც მთავარია, მუდმივად კარგ ხასიათზე ყოფნას, დამეთანხმებით, რომ მარტივი არაა. თუმცა, არიან დედები, ვისაც ეს ყველაფერი ერთად ძალიან კარგად გამოსდით.

სწორედ ასეთი ახალგაზრდა დედიკოები არიან დღეს ჩემი რესპონდენტები, რომლებიც შვილებთან ერთად ყველა ზემოჩამოთვლილ საქმეს მშვენივრად ართმევენ თავს.

როცა მრავალშვილიანი დედა ხარ, ალბათ ამ დროს, ერთი ათად იზრდება პასუხისმგებლობის გრძნობა შვილების წინაშე... ანუ... რამდენი შვილიც გყავს, იმდენად მეტია პასუხისმგებლობა. ყველას თავისი წილი მოეთვლება და ყურადღება სჭირდება.

ემოციების სწორად ხარმართვასა და ბავშვებს შორის მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბებაზე ხომ პასუხისმგებლობა მთლიანად უფროსებს ეკისრებათ.

თან სულ ყურადღებით უნდა იყო, ჯანმრთელობის მხრივ რამე არ გაგებაროს. ყველას უნდა შეუწყო ხასიათი ისე, რომ გენდობოდნენ.

მთავარი მარტო გაზრდა არაა, უმნიშვნელოვანესია ბავშვების აღზრდა, რაც არც ისე მარტივია.

დედების პასუხები სხვადასხვაა, თუმცა ერთ რამეში თანხმდებიან, მათი შვილებისთვის მთავარი არამატერიალური ღირებულებებია - ჯანმრთელობა და ბედნიერება.

ნათია სოლოვაჟილი - 35 წლის, შვილები: დავითი - 13 წლის, ანდრია - 11 წლის, პაიტი - 8 წლის, ნისიმა - 4 წლის და არის მეხუთე ვაჟის მოლოდინში.

- პირველად დედა რა ასაკში გახდით? - 22 წლის ასაკში გაეხდი დედა.
- გათხოვებამდე გიფიქრიათ ბევრი შვილის ყოლაზე? - თავიდანვე მინდოდა ბევრი შვილები მყოფოდა. პაპას ყავდა 6 დედამამიშვილი და ფუძე ოჯახი იყო ჩვენი, ამიტომ ჩვენთან ხდებოდა ყოველთვის დიდი ოჯახური შეკრებები, რომლებიც ჩემს მეხსიერებას ყველაზე ტკბილ მოგონებებად შემორჩა.
- სულ ვიძახდი, რომ უფალი თუ ინებებდა, აუცილებლად ბევრი შვილი მეყოლებოდა. შეისმინა უფალმა და მარგუნა ამის ბედნიერება, რისთვისაც მადლობას ვნიშავ.
- ხომ არ გიჭირთ მრავალშვილიანი ოჯახის გაძლევა? - მრავალშვილიანობა დიდ პასუხისმგებლობასთან და მუხლჩაუხრელ შრომასთან არის დაკავშირებული, მაგრამ მე ეს მამედნიერებს და მძალეს ძალას, რომ ვიყო კიდევ უფრო უკეთესი დედა და მეუღლე.
- მართალია, სულ დაღლილი ვარ, მაგრამ ამავე დროს უფლის მადლით უბედნიერესი, როცა უყურებ მენ შვილებს, აკვირდები და ხედავ თუ რამდენად განსხვავებული და უნიკალურია თითოეული მათგანი.



ყველას სხვადასხვა ნიჭი აქვს უფლისაგან ბოძებული და მენ ამით ხარობ.

ცდილობ, ყველაფერი მისცე მათ, ასწავლო ერთმანეთის, მოყვასის, უფროსების პატივისცემა და უფლის სიყვარული.

რა თქმა უნდა, მარტივი არაა, ყველას თანაბრად გადაუხანოლო მენი ყურადღება და რესურსი, მაქსიმალურად ვცდილობ, ყურადღების მიღმა არ დამრჩეს არცერთი და მათ ცხოვრებაში აქტიურად ვიყო ჩაბმული... ხშირად ვსაუბრობთ, მიზიარებენ საკუთარ აზრებს, ხუხილს და მერე ერთად განვიხილავთ ამა თუ იმ საკითხს. ამ ბოლო დროს ბიჭები აქტიურად დაინტერესდნენ გალობით, მეც ვცდილობ, დავუწავდე და ხმებში გავარჩიოთ საგალობლები.

- ახლა მეხუთე შვილს ელოდებით - დედა კიდევ ერთხელ ხდებით. ოჯახში ახალი წევრის შემოსატანად რამდენიმე ოჯახის თითოეული წევრისთვის რთული პერიოდი დგება... ყოველთვის უნდა გამოძებნო დრო უფროსი შვილებთან თამაშის, კითხვის, სიყვარულის და სხვა აქტიუობისთვის. მათ უნდა იგრძნონ, რომ დედა მათი-ცაა. მზად ხართ ამისთვის? - ოჯახში ყოველი შვილის შემობრძანება უდიდეს მადლიან, სიხარულთან და ბედნიერებასთანაა დაკავშირებული.

რეგასთანაა დაკავშირებული. მეხუთე შვილს დიდი სიხარულით ელოდებიან, პირველ რიგში ბავშვები და მერე ჩვენი. უკვე აწყობენ გეგმებს, ვინ როგორ მოუვლის და რას ასწავლის. მუცელშივე ეფერებიან და ელაპარაკებიან, ურჩევენ სახელს...



მაკა კობახიძე - 34 წლის, 4 შვილის დედა.

- რომელია შენი საყვარელი მოგონებები ბავშვებთან დაკავშირებით? - როცა მრავალშვილიანი მშობელი ხარ, ყოველი დღე და წუთი განსხვავებული და დასამსოვრებელია. განსაკუთრებით, როცა პატარები ლაპარაკს სწავლობენ და თავისებურად ტიპტიკებენ. ადრე ბლოკნოტში ვინერდი ხოლმე მათ გამონათქვამებს... აა, გამახსენდა, ერთ მშვენიერ დღეს, ნიცა წუნუნებდა: „ასეთი დედა არ მინდოდა, სულ მაცივარში იქექება, რა ვაჭამო ამ ბავშვებს, რა ვაჭამო“-ო. ამას ახლა ხშირად ღიმილით ვისვენებთ.
- რა არის ისეთი, რისი გაკეთებაც გინდა და ვერ მოგხერხებია მისი გაკეთება? - ასე ვერაფერს გამოვყოფდი, არარეალური მიზნები არ მაქვს ხოლმე, ოცნებებში არ დავფრინავ. ძირითადად რაც მინდა, ყოველთვის ვახერხებ იმის მიღწევას, ადრე თუ გვიან.
- ალბათ ოთხივე შვილს განსხვავებული გემოვნება აქვს და სხვადასხვა კერძი მოსწონთ. მოაზრად ისეთი კერძი, რომელსაც ოთხივე შვილი გემოვნულად მიირთმევს, მგონი ძალიან რთულია. გინევს რამდენიმე კერძის ერთდროულად მომზადება, თუ არ აქვთ ბავშვებს ამ მხრივ პრობლემა და არ არიან პრეტენზიულები? - ოო! ეს მუდმივი დილემაა, ძალიან პრეტენზიული მჭამელები არიან... რთული და დამოკიდებული პროცესია, მაგრამ მერე მახსენდება ჩემი ახლობელი მრავალშვილიანი ოჯახები, რომელთაც 6 და მეტი შვილი ჰყავთ და აღარ ვნუნუნებ.
- საკუთარი თავისთვის თუ ახერხებ დროს გამოწვას? პირადი სივრცისთვის - შენ და შენ მეუღლეს გრჩებათ დრო? - პირადი ცხოვრება პირველ ადგილზეა ჩემს ოჯახში. გაგვიცინება და პირველად, ყოველთვის ჩემთვის ვიმზადებ ყავას და შემდეგ, ბავშვებისთვის საუზმეს.
- შვილების რაოდენობას მნიშვნელობა საერთოდ არ აქვს, ცოლ-ქმარი მუდმივად უნდა ახერხებდნენ რაღაც დროის ერთად გატარებას, ეს აუცილებელია, თუ რა თქმა უნდა, ოჯახი ხელს გინეყოთ და ბავშვების დამტოვებული გყავთ. შვილებს ყველას თავისი ცხოვრება და გზა აქვთ, მხოლოდ მეუღლეა მენი ცხოვრების თანამგზავნი ჭირსა თუ ღიზში. მინდა გითხრა, რომ დანაშაული არ არის, თუ შვილებს რამდენიმე საათი დავტოვებთ და გავისივრებთ, ან თუნდაც წელიწადში რამდენიმე განტვირთვის დღეს მოვუწყობთ ერთმანეთს და სადმე ვგავალთ. მე და ჩემს მეუღლეს ტრადიციად გვაქვს ერთმანეთის დაბადების დღეებზე 2-2 დღით ქალაქიდან გასვლა. ახლა, ცოტა წამოგზავრდით ბავშვები

და ვიმედოვნებთ, ჩვენი განტვირთვის დღეების ცოტათი გახანგრძლივებას...



განესა ციკლანი - 39 წლის, შვილები: ქრისტიანი - 17 წლის, მათე - 9 წლის, მარიამი - 8 წლის, თამარი - 6 წლის.

- ზოგიერთი ამბობს, რომ რაც მეტი ბავშვია ოჯახში, მით უფრო იოლი ხდება მათი გაზრდა და მით უფრო ნაკლებად რთულები არიან ბავშვებიც... ასეა? - რაც უფრო მეტი შვილი გყავს, უფრო მეტი გაქვს პასუხისმგებლობებიც, ყველაფერს გამოიმუშავებ და უფრო პუნქტუალური ხდები!
- რა იყო ყველაზე რთული, რისმა გაკეთებამაც მოგინათ დედობის ამპლუაში? - ყველაზე რთული იყო, რაღაც დროით ბავშვებთან განმარტება, ჩემი ავადმყოფობის გამო. იძულებული გახდით დამეტოვებინა და სხვა ქვეყანაში წავსულიყავი სამკურნალოდ. თუმცა, ბავშვების სიყვარულით დავძლიე ავადმყოფობა და დავუბრუნდი ოჯახს.
- როგორ ახერხებთ დროის განაწილებას? ყურადღების დეფიციტი თუ შქმინათ ან თუ უფ-ვიანათ ერთმანეთზე ბავშვებს? - ოთხივეს სხვადასხვა ხასიათი აქვს, ხშირად აქვთ უთანხმოება ერთმანეთში, მე ვცდილობ დრო თანაბრად დავუთმო, შეძლებისდაგვარად, ოთხივეს!
- ჩვენს რეალობაში ხშირია შემთხვევა, როცა კარიერის, სამსახურის შენარჩუნების მიზნით, დედები თავს იკავებენ ბევრი შვილის გაჩენისაგან. თქვენ როგორ უყურებთ ამ საკითხს? - მე კი მგონია, ყველაზე წარმატებული ქალი, როცა არის კარგი დედა და ზრდის კარგ შვილებს, მაგაზე დიდი მიღწევა არ არსებობს ცხოვრებაში, ზოგი იზადება დედად, ოჯახის ქალად და ამაში პოულობს ბედნიერებას! ჩემთვის, პირადად, შვილებზე დიდი ბედნიერება არ არსებობს!
- სოფო ლომიძე - 40 წლის, შვილები: ზუკა - 18 წლის, მარიამი - 16, დანიელი - 8, მართა - 6 წლის.
- როგორ ფიქრობთ, ყველაზე დიდი ბედნიერება რა არის დედისთვის? - ჩემთვის, როგორც დედისთვის, ყველაზე დიდი ბედნიერება ჩემი შვილებია.
- როცა საქმე შვილების კეთილდღეობას ეხება, თქვენთვის დაუძლეველი პრობლემა თუ არსებობს? - დაუძლეველი არაფერია, როცა საქმე ჩემი შვილების კეთილდღეობასა და მათ ბედნიერებას ეხება, დედა ხომ ყოვლისშემძლეა. კიდევ ერთ შვილს გააჩნდით? - არა! მეტ შვილს ველარ ვაგაჩენ.
- რას ურჩევდით მრავალშვილიან დედებს, როგორ მოახერხონ, იყვნენ აქტიურებიც, ლამაზებიც და ენერგიულებიც? - ღიმილობა, რომ ჩემი რჩევა არ ჭირდებოდა.



ბათ. ყველა მრავალშვილიანი დედა აქტიურია ისედაც, თორემ მრავალშვილიანი ხომ ვეღარ იქნებოდა. სიმშვიდითა და სიყვარულით უნდა აკეთონ ყველა საქმე და დამეჩნდნენ, ყველაფერი ლამაზად გამოუვათ.

სალომე მიაქალაშვილი - 39 წლის, შვილები: ლილე - 10 წლის, მაქსიმე - 8 წლის და მამო - 5 წლის.

- შვილების გაზრდა, სამზარეულოში ტრიალი, დიასახლისობა, მუშაობა, როგორ ახერხებ ამ ყველაფერს? - შვილების გაზრდა ყველაზე რთული და ძალიან საპასუხისმგებლოა, მაგრამ როგორც ყველა დედა, მეც ვახერხებ. მგონია, რომ ცალკე პროფესიაა დედობა, რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე წლებით ერთად სწავლობ და ასწავლი შვილებსაც...
- როცა ქმარი სამსახურშია და სხვა დამხ-

მარე არ გყავს სახლში, როგორ უძღვები ყველაფერს?

- სახლის საქმეებს ხან ვუძღვები, ხან - ვერა... მაგალითად, ჩვენი ოჯახის განუყოფელი ნაწილია ცალ-ცალი წინდის ამბავი... თუ დაწყვილებ, მოულოდნელი სიხარული გენ-ვევა და ასე... ხან ვპოულობთ, ხან - ვერ. მათ მოძიებას დიდი „შრომა“ ჭირდება (იკინის). თავიდან ყველა ერთად ვინყებთ ძებნას და ბოლოს მაინც მე ვზივარ, ვიდრე ბოლო ნერვი მეყოფა... ამაზე პატარა ზღაპრის იდეა მაქვს, რომელიც დავიწყე და ჯერ ვერ დავასრულე... მოუხედავად იმისა, რომ მუშაობს, ძალიან ბევრ საქმეს ინანილებს ჩემი მეუღლე... ასე უფრო მიადევლებდა, როცა ერთად შევუტევთ სახლის დალაგებას თუ სხვა საოჯახო საქმეს. ხომ იცი, „ძალა ერთობაშია“!

- ემოციური, მგრძნობელობისა და მიდგომების თვალსაზრისით, განსხვავდებოდა დედობა სხვადასხვა ასაკში? - რაც უფრო პატარა ასაკში ხდები დედა, მგონია, რომ უფრო ადვილია.
- ვიცი, რომ ხშირად გიყვარს და უკეთეს ახლობლებს სთუარზობ. შენ რა გაგიხარებოდა ამ დედის დღეს? აქვე, ვისარგებლებ შემთხვევით და გავისხენებ: ვავადობდი კორონით, გამოკეტილი ვიყავი სახლში, იზოლირე-



ბუღალ და კარზე კაკუნის ხმა გავიგე, არავის რომ არ ული ამ დროს და გაოცებულმა გავაღე. სასაუქრე ტომარა იდო კართან, არავინ ჩანდა. შემოვიტყე და შვილი ლამაზი, ჩემი უფალი სტილის ჩემმა აღმოჩნდა, თან ბარათიც იდო, „მალე გამოკეთდი, გეყვარხარ“-ო... აი, ამდენი დრო გავიდა და კიდევ ვერ გადმოვცემ მაშინდელ ჩემს სიხარულს ემოციას, არასდროს დამავიწყდება! ბარათზე არ ენერა, ვისგან იყო... თუმცა, რაღაცა პერიოდის შემდეგ შევიტყვე, არა შენგან, სხვისგან, რომ ის „თოვლის ბაჟი“ შენ იყავი. მადლობა კიდევ ერთხელ.

- სიურპრიზების გაკეთება მიყვარს. მამედნიერებს, როცა ვილაქვს ვახარებ ცოტათი მაინც. მეც ყველაფერი გამეხარდება, ადამიანი რომ იზრუნებს და იფიქრებს შენზე, ძალიან სასიამოვნოა. დედის დღეს ვისურვებდი, რომ სახლში იდეალურად მოიქცეო ბავშვები.

საერთოდ კი, ყველაზე მეტად მათი ადამიანებად გაზრდა გამახარებს...

ამ გასაუბრების მერე, დავრწმუნდი, რომ მრავალშვილიანი დედა ყველაზე მდიდარი და ბედნიერია.

და კიდევ, მთავარი - დედა ბედნიერია მაშინ, როცა კარგი მეუღლე უდგას გვერდით. არ დაგვავიწყდეს მამიკოებიც! მათ ხომ იმდენი შეუძლიათ, იმდენი... ისინი აუცილებლად უნდა იყვნენ ჩართულნი შვილების ყოველდღიურ აღზრდაში - ერთად სერიოზობით თუ სხვადასხვაგვარი აქტივობებით.

ერთობლივი ზრუნვით ოჯახი კიდევ უფრო მეტად მყარ, ლამაზი და ერთიანი ხდება - ერთიანი და ბედნიერი! მათი ბედნიერება კი სრულად შვილების ბედნიერებაზეა დამოკიდებული. „ბედნიერება ბედნიერი კაცით იცნობა, ბედნიერები გვაჯერებენ მარადისობას!“.

მომზადდა ნანა ქავლიშვილმა

თქვენი ამაგი ფასდაუდებელი განძია!

ჩვენი მოსაყოლი მაინც უნდა მოვყვ... დედაზე მე ისეთი რა უნდა ვთქვა, მა-

გრამ ჩემი მოსაყოლი მაინც უნდა მოვყვე. შარშან, გვიან შემოდგომაზე, ნოემ-ბერში, ჩემს სოფელში ჩავედი. დამხვდა საცოდავი დედაჩემი - თითებდამჭანარი, მაჯებდანვრილებული. მაინც მილიმოდა და მეუბნებოდა: - ხან ვნევარ, შვილო, ხან, აი, ასე დავრაცრაცებო.

ვიყავი ერთ ღამეს და ერთ დღეს, თითქოს ეზო-ყორის მოწესრიგებით გართული, სინამდვილეში რაღაც ცოდვით მენუხებუ-ლი. მეორე საღამოს, უკვე შეზინდებულზე წამოვედი.

ჩვენიდან რკინიგზის სადგურამდე 4 კი-ლომეტრამდე გზაა, სულ თავქვე, თავქვე, აქედან კიდევ აღმართი. გამიმართა დედა-ჩემმა ძველებური ფარანი, ამინთო, - სად-გურში რომ ჩახვალ მორიგესთან დატოვე და ვინმეს ამოვატანინებ მერეო. დავინყე მე სიცილი, - რა ფარანი მინდა, დედა, ორ-მოცი წელიწადია ამ გზაზე დავდივარ, სულ ქვა-ქვა ვიცი-მეთქი ყველაფერი. - არა, შვილო, ახლა სულ შეცვლილია, სად რას აკეთებენ, სად რასო, თან მოლინჭყულია, ფეხი ცურავსო. ბევრი მეხვეწა, მაგრამ არ წამოვიღე ის ფარანი. გამომაცილა კი, კარ-გა მანძილზე. მომყვებოდა იმ წვევარამში, მინათებდა გზას და მარიგებდა დედურად. დიდ დაღმართთან თვითონვე შეჩერდა, ანია ფარანი ცოტახე: - ნაილე, შვილო, შემეხვეწა ერთხელაც, მე გადავკოცნე ლი-მილით: - ნადი-მეთქი ახლა! მივაბრუნე, თითქოს გაბრუნდა, წავიდა კიდევ, მი-ვიხედე და დგას ისევ, უჭირავს ის ფარანი, მეორე ხელიც შეუშვლებია. ნადი-მეთქი, ნადი! გაბრუნდა, წავიდა. მე თავქვე და-ვეშვი. ზურგჩანთა მკილია, თითქმის მი-ვრბივარ, მივიხედავ უკან და, რამდენსაც მივიხედავ, იმ წვევარამში ის ფარანი შუქი



ისევ ერთ ადგილზე დგას, ალბათ, მეჩვენე-ბა-მეთქი, გავჩერდები, ვაკვირდები - შუქი მაინც არ იძვრის.

- დე-დაა! დე-დაა!
არავითარი ჩქამი! ნიავე სახეში მცემს, ჩემი ხმა იქამდე ვერ აღწევს.

ისე ჩავედი სადგურში, ისე ავედი მატა-რებელში, ის შუქი მხოლოდ პატარაფეხო-და და არ იძვროდა. ვუყურებდი ვაგონის ფანჯრიდან და ვწყურებდი დედების სიჯიუ-ტეზე.

ის იყო და ის, ცოცხალი აღარ მინახავს დედაჩემი. დეკემბრის თექვსმეტში უწვალე-ბლად დალია სული და დამრჩა იმ ფარნის შუქი სამუდამო დარდად.

რატომ იდგა იქ, იმ აღმართის თავზე, სიბნელეში და სიცივეში იმდენ ხანს? ნუთუ მართლა იმას ფიქრობდა, რომ ცოტათი მაინც მინათებდა გზას? ნუთუ ეგონა, ცუდი რამე რომ მომწოდებოდა, უთუოდ მისწვდებოდა ქვემოდან ხმა?! თუ სულაც ცუდად გახდა, ჩაჯდა, ველარ წამოდგა და იყო ასე ფარან-ზე დაყრდნობილი?! კიდევ უარესი - სამუ-დამოდ ხომ არ მეთხოვებოდა იმ ფარნით?! დავუნთებ ხოლმე სანთელს, დავიწოქებ, მაგრამ ვერაფერს ვშველი ჩემს დარდს.

რეზა ივანიშვილი

დიდი თქვენი ღვაწლი ერის გამრავლებათ!



დიდი პატივისცემით და სიყვარულით მინდა მოგილოცოთ ბორჯომელ ქალბატონებს და შრომადამაშვრალ დედებს დღე-სასწაული, დიდი თქვენი ღვაწლი ქვეყნის აღმშენებლობაში, ერის გამრავლებაში, შვილების აღზრდაში, ოჯახებში, სიტბოსა და ურ-თიერთგაგების ატმოსფეროს დამკვიდრებაში.

გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას და უღელ სიხარულს როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე პროფესიულ საქმიანობაში.

ზაზა ლაზარაშვილი.

ბორჯომის საზოგადოებრივი დარბაზის გამგეობის თავმჯდომარე

ქალების არჩევანში არ შეხდეთ!

არიან ქალები - ყაყჩოები - კაშკაშები და ლამაზები - მაგრამ, როგორც კი მოწყვეტ, მაშინვე ჭკნობას იწყებენ...

არიან ქალები - უსუნო ვარდები - შეხედავ მოგეწონება, მაგრამ არანაირი სურნელი არ მოაქვთ...

არიან ქალები - მიხაკები - თავი რომ მუდამ პანაშვილზე გგონია...

არიან ქალები - გვირილები - მათთან ყოფნისას სულ უნდა იმკითხო: „ვუყვარვარ არ ვუყვარვარ?“...

არიან ქალები - იები - მათკენ მუდმივად თითს იშვერენ: „აი ია“...

არიან ქალები - იორდასალამები - ყველაზე გამძლენი და უპრეტენზიოები...

არიან ქალები - კლდის ყვავილები - ნებისმიერ კლდეს გახეთქავენ და მაინც აყვავ-დებიან...

არიან ქალები - მზესუმზირები - მუდამ რომ მზე დგას მათ თვალებში...

არიან ქალები - კესანები - რა დროც არ უნდა გავიდეს, ვერასოდეს დაივიწყებ.

არიან ქალები - ედელვაისები - იშვიათები და მითითურები - მათი პოვნა მხოლოდ მას შეუძლია, ვისაც გულში სიყვარული აქვს.

დედაბი გარდაცვლიან, დედაბი თეთრდებიან.

დედები ბერდებიან, დედები თეთრდებიან, თეთრ ფიფქად ეგებიან შვილების ნაბიჯებს. შვილები ვერ ხვდებიან, მთებს როგორ ერევან-დედით რომ აღწევნენ მიუვალ ნაპირებს.

დედები გვპირდებიან, ჩუმ-ჩუმად ილევინან...

და მაინც გვიტოვებენ მომციმარ აპრილებს...

დედები გულთით გრძნობენ, დედობა სხვაფერია - იციან წვიმას როდის აპირებს...

დედობა ასეთია, უსიტყვო მზადყოფნაა -

ქარში და ავდარში სიმშვიდის საფანე.

სანამ დედა გვყავს მუდმივი ზავშობაა,

დედობა სიკეთეა, მესხეთე-სხვა მხარე...

შვილები იზრდებიან, შვილებმა და რა იციან,

დედების წინაშე მთებიც მხრებს იდრეკენ!

დედები შვილისთვის ცეცხლშიაც გაივლიან,

შვილებსაც, დედებსაც გვექონოდეს სიკეთე!

დედები ბერდებიან, დედები თეთრდებიან...

თეთრ ფიფქად ეგებიან შვილების ნაბიჯებს...

შვილები ვერ ხვდებიან, მთებს როგორ ერევან-

დედით რომ აღწევნენ მიუვალ ნაპირებს...

ია ნანაიშვილი

ვიღჩა ღელა გყავს

ზოგჯერ თუ სევდა დანისლავს თვალებს, ვერ დაიოკებს ცრემლებს ჟინიანს, ნუ შეგაშინებს უძირო ღამეც, ვიდრე დედა გყავს, ნუ გემიზნია. თუ გაგინუნებს მენყური ფერებს და წამთორის სუსხი მხრებზე დაგათოვს, გულს ნუ გაიტეხ, რა ვუყოთ მერე, დედის გული და კალთა გაგათბობს.

ნუ შეგაშინებს მეხი იერით, მეხი უფესვო ხეებს ერევა, ვიდრე დედა გყავს, მენ ხარ ძლიერი, ვიდრე დედა გყავს, ვინ მოგერევა. ჭირთა თმენა და დიდი იმედი, დედა სიცოცხლის თვალისწინია, ვიდრე დედა გყავს, ხარ ბედნიერი, ვიდრე დედა გყავს, ნუ გემიზნია.

ლილი ნუსხიკა

ადამიანი ერთმანეთზე შეღებული სივრცეა...



რამდენიმე დღეა, საქართველოში ამინდი გაუარესდა. გადაუდებლად თოვს აჭარაში, გურიაში, იმერეთში და სხვაგანაც. ზვავრიე-ლად თოვს ბორჯომშიც. მეტად არასახარბიე-ლო ამინდს დაუპირისპირდნენ ბორჯომის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამ-სახურის მუშაკები, რომლებიც დილიდან შრომაში არიან, ისე გულიანად და შემართე-ბით მუშაობდნენ, გულგრილად ვერ ჩავუა-რე და გადავწყვიტე გამოვლაპარაკებოდი. თავიდან, ფოტოს შეფარვით რომ ვუღებდი, ცოტა შეშინებულად და უნდობლად მიც-ქერდნენ, სულ ნეგატივს რომ ელოდებიან... თუმცა, მალევე გავეუქარე არასწორად შე-ქმნილი წარმოდგენა და - ამჯერად კარგი უნდა დაინეროს-თქო, ვახარე საზეიმო გან-ყობით, ისინიც უმაღლესი ენაწყლიანები გახდ-ნენ...

როგორი რთული და საპასუხისმგებლო პროფესია აქვთ... ეს ადამიანები ნამდვილად იმსახურებენ ყურადღებას, მოფერებასა და დაფასებას ჩვენგან! ყოველთვის მონოდე-ბის სიმალლეზე დგანან და ფუტკრებივით ფუსფუსობენ... მე ამდგავარ მნიშვნელოვან სამსახურში მოღვაწე ადამიანებსაც გმირებს ვეძახი.

გმირი ნებისმიერი ადამიანი შეიძლება იყოს და გმირობაც სხვადასხვა გზით გა-მოიხატება, იქნება ეს ფიზიკური თავგანწირ-ვა სხვისი გადარჩენისთვის, შიშის დაძლევა ამ გადარჩენის წყურვილით თუ უბრალოდ, ისეთი საქმის გაკეთება, რასაც დიდი შრომა და თავგანწირვა სჭირდება, თუნდაც მოვა-ლეობის ღირსეულად შესრულებაში.

აუცილებელი არაა მაინცდამაინც „დიდი“ საქმის დაძლევა. გამონათქვამია, „თუ დიდი საქმეების კეთება არ შეგიძლიათ, პატარა დიდებულად აკეთეთ“-ო.

ამიტომ, გმირები და უბრალო ბრალი-ნი ადამიანები არასდროს კვდებიან, ისინი მარადიულად ცხოვრობენ ჩვენს გულე-ბში, მათი ღირსეული ცხოვრებისა და გამო... ადამიანები ხომ თავად ქმნიან საკუთარ პიროვნებას. „აუცილებელი არ არის დიდი

ადამიანი იყო, არამედ უბრალოდ იყავი ადა-მიანი!“ - ბრძანა ელდარ შენგელაიამ. ჰოდა, ეს ადამიანებიც დამსახურებული და პატივ-საცემი ადამიანები არიან.

ბორჯომის დასუფთავებისა და კე-თილმოწყობის სამსახურის ხელმძღვა-ნელი გახლავთ გიორგი (გოგა) გელაშვილი. მისი ხელქვეითები კი ამ სამსახურის თა-ნამშრომლები არიან. გაგაცნობთ მათ: კახა კინწურაშვილი, შოთიკო მთიულთშვილი, აკა-კი შაყულაშვილი, ვახო კახაზიანი, მურმან გოგოლაძე, ზაზა მეტრეველი, მიშა ტალახაძე, გრიშა ბლიაძე და როლანდ ტომაში, ამ უკა-ნასკნელზე სიამაყით დააყოლეს ბიჭებმა, - ყვების კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო ადრეო.

ერთი-ორი თბილი წინადადებათაც გა-მიზიარეს... - „გვიყვარს ჩვენი კუთხე, ჩვე-ნი რაიონი, ჩვენი ქალაქის სისუფთავეზე ვზრინავთ დღემუდამო“; „ახლა დედის დღე და 8 მარტი მოდის და ვისარგებლებთ ამ შემთხვევით და ჩვენი ქალაქისა და ოჯახის მანდილოსნებსა და დედებს გულთბილად მივულოცავთ ამ დღეებს, ამასთანავე გა-ზაფხულის შემობრძანებასო!“, „ბედნიერები და ლამაზები ყოფილიყვენ გაზაფხული-ვითო!“

მადლობა მათ ამ კეთილი და ლამაზი სურვილებისთვის, რომ არ დაავინყდათ კარს მომდგარი ქალთა დღესასწაულები.

ყველა სფეროშია გულწრფელი, მშრომე-ლი, უბრალო, გულისხმიერი, თანამგრძნობი ადამიანი... მნიშვნელობა არა აქვს ეროვნე-ბას, სქესს, სარწმუნოებას, თანამდებობას და... ა.შ.

მეც ვეებერთელა მადლობა გადაუხადე თითოეულ იმ ადამიანს, თავის საქმეს კე-თილსინდისიერებითა და რუღუნებით რომ ემსახურებიან!

„შენ ადამიანი მაჩვენე, თორემ მთვარეს მეც გაჩვენებ!“ ეს ბორჯომია.

ნანა კაპლიშვილი

დედაშვილობა ერთადერთი მარადიული სიყვარულია!

დედაჩემო თავისი ოცნებები გასწირა, რათა მე მომეცა...



“საკმარისია, გავიფიქრო დედა და ჩემი სიცოცხლის ყველა მხარეს აქვს გაგრძელება...”

დედა გული სხვანაირად მიცემს... დედა მყავს და დედა ვარ! მადლობა უფალს ამისთვის!!! დედაშვილობა - ერთადერთი მარადიული სიყვარული...

დედა... ჩემი ერთგული დედიკონა... ჩემი მშრომელი, ფუსფუსა, სტუმართმოყვარე, სასწაულად კეთილი და უთბო ლეოსო!!! გეფერები... თუშკა გუშინაც ხომ სხვანაირად მოგეფერე, ხვალაც, ზეგაც იგივენაირად და ასე დაუსრულებლად... რადგან ასეთივე დაუსრულებელია დედის სიყვარული, დედის ნატვრა, დედაზე მადლიერება... “დე, შენს თვალებში ღმერთი ცხოვრობს - შენ ხარ ტაძარი, ყველა ბილიკი შენსკენ მოდის, - ვინრო და ფართოც...”

შენი ბეჭები მიმართევენ დღესაც ნანამებს, - ჩემზე დარდისგან გამოკვეთილ სახის ღარებზე, როცა ცრემლი გდის, როცა ცრემლი ნამავს ნანამებს, გული მიკვდება!”

აი, ვამბობ ახლა ამ სიტყვებს, რომლებიც მხოლოდ ჩურჩულით სათქმელია... და... შენს სახეზე რომ ღიმილის ყვავილებია, ბალში მინდა დავრგო...

იცი, რას უდრის, ყოველ დღით სამზარეულოდან შემოსული მშუტავი სინათლე და ახლადგადიძებულზე იმის გაცნობიერება, რომ დედა იქაა და ფუსფუსებს?... რომ ცოტა ხანში გამოცახებს, - “არ დგები? საუზმე მზადაა-ო”.

მინდა, გაგიმხილო, რამდენ ცრემლს ისრუტავდა და აშრობდა ჩემი ბალიში 1 წლის განმავლობაში, ყოველ ღამე, შენ რომ საბერძნეთში გადაიხვენი ჩვენი სწავლის გამო... (როგორ დაიკარგე ჩასვლისას და რამდენი წლის სიცოცხლე დაკარგე ერთ დღესა და ღამეში - ეს კიდევ ცალკე თემა...) ...

მინდა ამოვთქვა ისიც, ყოველ დღე, როგორ ვიღებდი შენი უჯრიდან შენს ტანსაცმელს, ვცნობდი, ვინუტებდი და ვიძინებდი მგერ...

და მერე... მერე იყო კიდევ უგრძესი წერილები... ზოგს გიგზავნიდი, ზოგს ვიტოვებდი დღიურების სახით და ვსტუმრობდი პერიოდულად... “როცა დედა მოსაა, ისე ვარ, თითოს საბანი მაქვს გადახდილი და ვერ ვთბები... ვერავის სიმორე ვერ გაგყინავს ასე...”

არ შეიძლება, ისიც არ გავიხსენო, თუ როგორ აგროვე 1 წლის მანძილზე, ყოველი ყავის დროს ნაწილადევი შენი კუთვნილი ნატვები მოკლადი და ამ ვეებერთელა ნატვებით სავსე „ჯადოსნური ტომარა“ ჩამოიტანე მერე - ერთი გროვა სიტკბო-ნატვებიანი. აი, ამას ხომ მე ვერასდროს შეძლებ, დეე... ვერც სხვა შეძლებს... ეს შენ შეძელი მარტო!

და სად აღარ მატარებდი კიდევ ასომის გამო მთელი ბავშვობა... ექიმბაშები არ დატოვე არცერთ კუთხეში, საავადმყოფოში გეწვინე თვეობით... კიდევ, ჩამიწობდი საქმეს ბაკურიანის სანატორიუმში, ჩავიდოდით და... შენი წამოსვლის დრო რომ დადგებოდა, მოვრთავდი ტირილს, არ ვჩერდებოდი შენს გარეშე და მერე თქვენც მოგყავდით უკან...

ან... დილიდან გაამზადებდი ნაირ-ნაირებს, დაგვავლებდი ხელს მეზობელ ბავშვებთან ერთად და პლატოზე აგვყავდი, უკეთესად რომ გვეჭამა და ჰაერზე ვყოფილიყავით მთელი დღე...

ან კიდევ... როცა ვიძინებდი, შენი ხელი მქონდა ჩაბალუჯული დილაზე... ასე იყო დიდობამდე... ასეა ახლაც (იშვიათად), თუ რამე ძალიან მიჭირს, ან ავად ვდგები, ისევე გთხოვ, რომ ჩემს გვერდით დახვე და შენც მიჯერებ...

დაგტანჯე, დეე - სუსტი ჯანმრთელობისა და ჩემი არჩეული არასწორი ნაბიჯების გამო... არ ვიცი, კიდევ რა უნდა თქვას შეიშმა შენაირ დედაზე... როგორ უნდა მიეფეროს-ო...

დეკო... შენ დამამიკონა ყველაზე მაგარი ტიპები ხართ... ჰოო! ეგრეა...

მინდა, პატიება გთხოვოთ - შენ აქ და მამიკოს - იმიერში - იმ ვეებერთელა ღრმულისთვის, ჩემს გამო რომ გაგინდათ გულში და აღარ ამოივსო მერე... ვიცი, მაპატიებთ ამას...

მხოლოდ შენი ჩემდამი სიყვარულია უძლიერესი და ჭეშმარიტი, - ესეც შესანიშნავად ვიცი..!

მინდა, ჯანმრთელი მყავდე კიდევ დიდხანს, დედუნო!!! ლოცვასავით ვბუტბუტებ შენზე სავდრებელ სიტყვებს უფალთან... “ღმერთს ვთხოვ შენი წლები მიდღეგრძელოს, შენი ჭალარა და სევდის ფერი... სულის დამთმობელი დედაჩემო - შენ ვერ შეგედრება ვერაფერი!”

ნანა კავლიშვილი

დედის ამაგი დაუვიწყარია

ამ გაზაფხულის ქალების დღე-სასწაულზე მიცვალებული დედის გახსენება, უხერხულიც კია...

ალბათ, სულ თავიდან დავიწყებ. სანამ მე და ჩემი ტყუპისცალი ძმა გაეჩნდებოდით, მშობლებს ქალიშვილი ჰყავდა, ჩვენზე ორი წლით უფროსი.

ჯერ ჩემი ძმა მოვევლინა ამქვეყნას, 15 წუთის შემდეგ მე. ტყუპი ბავშვების გაზრდა, იმ დროს, როცა მეუღლეზე მეტი (ის კი მუშაობდა) სახლში მომხმარე არავინ გყავს, დამეთანხმებით, რთულია...

საავადმყოფოში, როგორც დედა ყვებოდა, ექიმში დედასთან მისულა და უთქვამს, ქალიშვილი გყავს, ახლა ტყუპი ქალ-ვაჟი შეგეცინა, გაგიჭირდება გაზრდა, ხომ არ ჯობია, გოგონა სხვას მისცეთ, რადგან ვაჟის გაზრდა რთულია და შეიძლება გარდაგეცვალოსო. აქ, ერთი ახალგაზრდა დედა, სამჯერ მკვდარი შვილი შეეძინა, განუწყვეტილ ტირილს, იძახის - ხელცარიელი სახლში ვერ დავბრუნდებიო. (ჩემზე იყო საუბარი). დედას ხმა არ გაუღია, მაგრამ რომ არ მოშვებია, მერი უთქვამს: - მიჩრევენია, ჩემი შვილი ჩემთან მოკვდეს და მისი საფლავი ვიცოდე, ვიდრე სხვასთან იყოს და არ ვიცოდე, მკვდარია თუ ცოცხალიო. ექიმს დედისთვის ბოდიში მოუხდია, დაუმტკიცებია - გეთანხმები, 10 რომ მყავდეს, ვერც მე გავიმეტებდიო. ასე მიაშუქა დედამ სიცოცხლე და ის ბედნიერება, რომელიც წილად მხვდა ჩემ მშობლებთან და და-ძმასთან ერთად გავზრდილიყავი.

მადლობა მას სიტბოს, სიყვარულისა და იმ გარემოს შექმნისათვის, რაც ოჯახს ჭარბი იყოს ხდოდა.

იმერლის ქალი იყო ჩემი დედა, გაჩეჩილაძე, შეძლებულ ოჯახში გაზრდილი. კულტურული, ზრდილობიანი, ინტერესიანი, შვილებზე მოფიქრალი, პირველი მისი მიზანი ეს იყო, კარგად გვესწავლა. მეტყოდა ხოლმე, ნეტავი შეიძლებოდა, შენს მაგივრად ვისწავლოო. ოჯახურ საქმეს არაფერს არ დაგვაავალბდა, რათა ხელი არ შეგვშლოდა სწავლაში.

თუ ვინმე შემოვიდოდა სახლში, ვინც არ უნდა ყოფილიყო, ხელცარიელს გარეთ არ გაუშვებდა. მეზობლის ქალბატონი ასაკიანი, ახლაც ისხენებს: - დედაშენს ჩემთვის არ



დაუბანია, თორემ დანარჩენი ყველაფერი გაუკეთებიაო.

ჭკუა და გონება სიკვდილის ბოლომდე საღი ქონდა, ბოლო რამდენიმე თვე ვეღარ შეხმარებოდა და წუხდა, რალას გიკეთებ, ვერ გეხმარებო.

90 წლამდე იცოცხლა დედა, დედას ასაკი არ აქვს და მეც ვამაყობდი მისი ასაკით. მიხაროდა, რომ მყავდა ცოცხალი. ხშირად ვამბოდი, სანამ დედა მყავს არ დავებრდები.

23 წელია, რაც დედა აღარ არის ამქვეყნად, მაგრამ ის მუდამ ჩემ გვერდით არის, ვცდილობ, მას მივბამო, მან ღრმა კვალი დატოვა ჩემში.

დილით საწოლს ვასწორებდი და არ მომეწონა, მაშინათვე დედა დამიდგა თვალწინ, მის გასწორებულ საწოლისთვის რომ შეგეხდათ, იტყოდით: - ამ საწოლზე ალბათ, არავინ არ დანოლილაო. დღემდე ვერ ვხვდები, როგორ ართმევდა თავს ყველაფერს ისე, შენიშვნას ვერ შეიტანდი.

მართალია ამ წერილში მამა არ ვახსენე, მაგრამ ის მაპატიებს, მას თავის მეუღლე უზომოდ უყვარდა და პატივს სცემდა, მართლაც პატივსაცემი მეუღლე.

დედა, გილოცავ დედისა და ქალთა საერთაშორისო დღესასწაულს, შენ მუდამ ჩემს გვერდით ხარ!

ნათელა იჩიბიძე

დედას ასაკი არა აქვს

როგორც ზღვას ხიდი არა აქვს, როგორც ცას კიბე არ ახლავს, დედაც ასეა უკვდავი, დედას ასაკი არა აქვს. როგორც ვაზს სარი სჭირება, კალმასხს მთის წყალი ანკარა, ისე ძნელია უდებოდ ყოფა და გზების გაკვალევა. დედამინას და დედაბოძს იმათაც თავისი დედა ჰყავს.. დედა ჭიასაც სწირდება დედას ასაკი არა აქვს!



დედის გარეშე სამყარო სარჩილია

დედა! რამდენ რამეს იტევს ეს სიტყვა. რაც ამქვეყნად სასიცოცხლოდ ძვირფასია, ყველაფერი მარადიული ფუძე სიტყვა „დედა“-ს უკავშირდება. დედამინა, დედაბოძი, დედაკაცი და ა.შ.

განუსაზღვრელია დედის ამაგი შვილებზე. არანაირი საზომით არ იზომება. ვერასდროს ვერ გადავიხდით დედის ამავს, სულ რომ ვეცადოთ. ალბათ, იგივე გზას ჩვენი შვილების აღზრდაზე რომ გავდივართ, მაშინ თუ შევიგრძნობთ რაოდენ დიდი და უკიდევანო მათი მზრუნველობა.

მინდა მივულოცო დედის და ქალთა საერთაშორისო დღე ჩემ მოამაგე, ოჯახისა და მისი მონაგარის შრომაში დაღლილ დედას.

ცოფური ხანიშვილი-ჩოჩინიძე 30 წელი მუშაობდა ყოფილი კურორტაქრობის, რძის მალაზიამი. ბორჯომის მოსახლეობაში სარგებლობდა სიყვარულით, პატივისცემით. იყო ერთერთი გამორჩეული და სანიმუშო მუშაკი, რაც ადასტურებდა მის მიმართ გამოთქმული მადლობის წერილები პრესისა,



თუ მადლიერების წიგნში.

დედასაც როდესაც მხედებთან ჭარმაგი ადამიანები, ისხენებენ ქალბატონი ციურის სიკეთეებს მოსახლეობის მიმართ, რაც ყოველთვის სიამაყით მავსებს.

გუშურვებ ჩემ დედიკოს დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, დღეგრძელობას. დედის გარეშე ხომ სამყარო ცარიელია.

ირა ჩოჩინიძე

წერილი ჩემს შვილს

ჩემნაირი დედები დღეს მოდამი აღარ არიან, მაგრამ იცოდე, მოდა პრუნავს და არ შეგეზინდეს, არ დაეჭვდე...

გეტყვიან, რომ მე ბნელი ვარ... ჩამორჩენილი, თუშკა იცი, რომ ეს ობიანა არ არის ასე.

ბნელი ვარ იმით, რომ... გასწავლი, სამშობლო ერთია და მისი გაყიდვა იგივეა, მე რომ გამოიყვანო მონების ბაზარზე და გამყიდო, იმ ფულით კი მაგარი სახლი იყიდო.

იცოდე, ვერასდროს იქნები იმ სახლში ბედნიერი...

ვერც მშვიდად დაიძინებ...

რომ თავისუფლებასა და თავხედობას შორის უზარმაზარი ზღვარია...

რომ პატივი უნდა სცე უფროსს და როგორც არ უნდა ცდებოდეს, ენის შეტლიკინება შენი უწინების მაჩვენებელია...

რომ ადგილი უნდა დაუთმო მოხუცს ყველგან, გზაზეც გადაიყვანო და ტვირთიც მიატანიო სახლამდე...

რომ ქალს უნდა მოეცე კაცურად და თუ ის დამნაშავეა, უზრალოდ ზურგი უნდა შეაქციო და წამოხვიდე...

ქალზე ძალადობა მხოლოდ შენი არაკაცობის მაჩვენებელი იქნება!

რომ არ უნდა დაჩაგრე შენზე სუსტი, პირიქით, უნდა დაიცვა...

რომ ქვეყნიდან გაქცევა კი არ არის გამოსავალი, აქ დარჩე, სწავლა და შენი რესურსის ამ ქვეყნისთვის გამოყენება სწორია...

რომ არავის დაუხარო თავი და იამაყო შენი წარმომავლობით, გენით, კულტურით, ტრადიციით...

გახსოვდეს, რომ შენ ქალი ხარ! არასდროს გაყიდო თავისუფლება გახსოვდეს, თავისუფლება ღირს ზედხარა! ფულით ვერ იყიდი მთავარს - სიყვარულს, მე-

გობრობას და გულწრფელ პატივისცემას, ანუ იმას, რაც ადამიანის ადამიანობისთვის მთავარია...


რომ დასმენა ცუდი საქციელია...

რომ შენ მართლმადიდებელი ხარ და სჯულის შეცვლა შენს ზემოქმედებზე არ შეიძლება...

რომ შენი სქესი ღმერთმა განსაზღვრა და არც მის საქმეში ჩარევა შენი საქმე...

რომ პატივი უნდა სცე განსხვავებულ აზრს, მაგრამ უპირობოდ არ უნდა მიიღო ის...

ბევრი რამ არ მახსენდება კიდევ, რითიც ბავშვობიდან



გიბურღელი ტყვის.

ახლა აღარაა ეს მოდამი და შესაბამისად არც დედაშენი, მაგრამ მეც ერთადერთი ვარ და ვერ შემიცვლი.

მშობლის და ოჯახის პატივისცემა არ დაგავიწყდეს..

სულ ეს იყო ალბათ და ახლა არჩევანი შენზეა იცოდე, ძალიან მიყვარხარ

ნინო ლაქიშვილი

გილოცავთ!




მარტის თვე ხომ ქალებისაა, ჩვენი რედაქციისთვის კი უფრო მეტი დატვირთვა აქვს ამ თვეს - 4 მშვენიერ ქალბატონს აქვს დაბადების დღე! რედაქციის მეგობრული ოჯახი დიდი სითბოთი და კეთილი სურვილებით ვულოცავთ მათ დაბადების დღესა და სამყაროში ყველაზე კეთილშობილ დღეს - დედების დღეს!

- ქალბატონებს: **საბა ხაჩიკას, ნათელა იჩიქიკას, ნაზო შელიქიკასა და ირმა ჩოჩიკას!** ვუსურვებთ მშვიდ, ლალ, მზიან ცხოვრებასა და სიხარულით, სიყვარულით, წარმატებებით სავსე წელს!

იყავით გამორჩეული ქალები და დედები, რომლებიც აჩვენებენ ჩვენს ქალაქს, რომ შესაძლებელია ჰქონდეთ ყველაფერი: სიამაყე სახეზე, პასუხისმგებლობა სულში, ცოდნა გონებაში და სიკეთე გულში!

სიყვარულით რაფაელის კოლეჯი



“გაზეთ ბორჯომის” თანამშრომლები გულითა და სულით ვულოცავთ, რედაქციის შტატგარეშე კორესპონდენტს, ქალბატონ იზაბელა სარქისიანს, ქალთა საერთაშორისო დღესასწაულს!

ვუსურვებთ მზებრძოლობას, დღეგრძელობასა და უღელ სიხარულს!

გაზაფხული მაინც მოვა!

ზამთარი რომ ახლოვდება, განვიცდი და მეც არ ვიცი რა მომდის, გაზაფხუდ და რამდენჯერმე საყვადური ხმამაღალზე წარმოვთქვი: რომ შემეძლოს მთელ სამყაროს მზის სხივებით გავათბობდი, დეკემბრის თვეს დაუნდობლად კალენდრიდან გავაქრობდი. რადგან ყინვამ, ზუსტმა, ცრემლმა გულით აღარ გამაცინა, მშობლებთან და ახლობლებთან დეკემბერმა დამაცილა. თებერვალი ილეოდა,

გაფრენილ დროს არ ვეძებდი, სადაც შავ მინას ვხედავდი, ყოჩივარდებს დავეძებდი. და ბუნება გამიბრაზდა, ჩემს წინ თავი არ მოხარა, რაც კი ცაში თოვლი ქონდა, სულ მინაზე გადმოყარა. სიბრაზისგან, თოვლის მოსვლით, მინა ისე დამიფარა, გაზაფხულის მარტში მოსვლა, აპრილამდე გადმიტანა. სილამაზე კია, მაგრამ, თვალი ველარ მომიხიბლა, რად მინდა ის სილამაზე,

თუკი ხელ-ფეხს მომიყინავს. ეს ბუნება, მენ რას გერჩი, მე თუ ზამთარს ველარ ვიტან, გაზაფხულს დაველოდები, სიყვარულით თავს გავიტან. გაზაფხულის ტრფიალი ვარ, რადგან სიცოცხლე ილვიძებს, გულს კვლავ იმედი ავსებს და ბუნებაც გაილვიძებს! ვგრძნობ, უფალი არ გაგვწირავს, ყველაფერს ხომ თავის დრო აქვს, დროის გამყინვარებაში, გაზაფხული მაინც მოვა.

ღვასასწაულს გილოცავთ მანდილოსნო!

სამ მარტსაც გილოცავთ, რვა მარტსაც გილოცავთ, ყველა დღეს გილოცავთ, ყველა დღე თქვენია, თქვენ ხომ სიცოცხლის წმინდა წყარო ხართ,

ტკბილო დედა და თბილო ბებია. ქვეყნის ბურჯი და ქვეყნის იმედი, ღმერთმაც დალოცოს თქვენი მანდილი, ქალი - ლამაზი, ვით თეთრი გედი, ქალი - ვარდია ბაღში გაშლილი,

ერი ამაყობს თავის დედებით, ვინაც რომ შობა გალაკტიონი, მეფე დავითი, მეფე თამარი, დიდი ილია, ვაჟა, აკაკი...

ყველას ლოცავდეს წმინდა სიონი, არ ჩამქრალიყოს თქვენი ლამპარი. მრავალი შვილი და შვილთაშვილი, გარს გეხვეოდეთ როგორც ფუტკარი.

დედა ნაყოფით სავსე ხეცაა, და თავის მამულს გმირებსაც უზრდის, ყველა ქალს ვლოცავ და ვადღეგრძელებ, დიდხანს სიცოცხლე მისურვებია. ყველას ჰქონოდეს ტკბილი სიბერე, ას წელზე მეტხანს იცოცხლოს ყველამ, და კიდევ ბევრჯერ გავიმეორებ, დიდხანს იცოცხლოს ქართველმა დედამ. **ჯამალ ბიბილური.** სოფ. დვირი.

შენ თავს აფასებ ალაშიანო!!!

დედამ დათესა ეს სილამაზე დაბადებიდან რასაც ეტყვიან! ქალი ბევრია ამ ქვეყანაზე, მაგრამ დედა კი მხოლოდ ერთია! დედა ძველია, როგორც სამყარო, და როგორც დილა არის ახალი, არ გაჩენილა ქვეყნად სახელი, დედას სახელზე უფრო მაღალი! ახალს ლანდით შორდება ძველი, ცხოვრებაში გზა ვის არ შემოიბა, არ გაჩენილა დედის შემცველი,

სიყვარული და დედა ერთია! გზა რომ არ გქონდეს დედის საფლავზე, მაინც არ უნდა გადაიარო! და როცა მშობელ დედას აფასებ, შენ თავს აფასებ ადამიანო!

თაღო შელიქიკა. ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშემწე.



გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

რაფაელისა შელიქიკა გამონაქვეყნის ისეთი წარმომადგენელია, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდნენ.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.

იხეჭდება: თბილისი, თევდორე მღვდლის 57.

saari.ltd@gmail.com
borjomipress9@gmail.com

კორექტორი: ნანა კავლიშვილი
რაფაელისა: ვალერიან ლომიკა

მნამს საქართველო გაბრწყინდება

ყველაზე ძვირფასს, ღირსეულს - დედას უწოდებენ. დედაქალაქი, დედაენა, დედამინა, დედაბოძი; სიტყვა დედას - შემცველი არ აქვს.

“ლამაზად შვილის-გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა“-ამბროსი ილია ჭავჭავაძე! ეს ისეთი ფაქიზი, უძვირფა-

ბლოს მიტაცება, მავთულ-ხლართები, ოკუპაცია, ლტოლვილები საკუთარ სამშობლოში?

გვეყო! მაღლობა უფალს, ჩვენი წმინდა მამების ლოცვა-კურთხევას, ჩვენ ღირსეულ მამულიშვილებს, ხელისუფლებას რომ გადაარჩინეს ჩვენი ნატანჯი, ღირსეული



სესია, რომელსაც ვერავინ შეცვლის!

მისი მაღლი, სიკეთე, ისეთი შავარანდედია, რაც კარგი შვილის მომავლის ნათელი მოსავს, გზას უნათებს ლამპარით. ამიტომაცაა, რომ ჩვენი სამშობლოს ღირსეულმა შვილებმა მათმა გამჭრიახობამ, განათლებამ, თავგანწირვამ, მოთმინებამ, ბუნების ხიდეზე გადაირეს და კიდევ ერთხელ გადაარჩინეს საქართველო ახალი, კარს მომდგარი ომებისაგან! განა არ გვახსოვს 9 აპრილი? 2008 წლის უბედურება?

აგრესორი რუსეთის მიერ ჩვენი სამშობლოს ულამაზესი კუთხის აფხაზეთისა და სამაჩა-

წინაპრების სისხლით მორწყული მინა, ომს. უკრაინის მსგავსად ახალი სისხლის ღვრას! ჩვენი სამშობლო ველარ ალდებოდა მინისაგან პირისა!

მაღლობა დედებს ასეთი ღირსეული შვილების აღზრდისათვის. ახლახან დიდთოვლობაც დაატყდა თავს დასავლეთ საქართველოს, ისევე ჩვენი ღირსეული მამულიშვილები. მთელი საქართველო - ფეხზე დადგა. მხარში დაუდგნენ სტიქიით დაზარალებულებს.

ღმერთო, გვიმარავლე ღირსეული შვილები! მნამს, საქართველო გაბრწყინდება!

ანა ივანიძე

თქვენს სიცოცხლეს გაუძიქოს!

ძვირფასო ქალბატონებო!

გულწრფელად გილოცავთ გაზაფხულის შესანიშნავ საღვთსაწაულ დღეებს. ყველა დედას და ქალბატონებს გილოცავთ გაზაფხულის ამ შესანიშნავ დღესასწაულებს, ყველას ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ღვთისწყალობას გისურვებთ. ყოფილიყავით გაზაფხულივით ლამაზები და შემოქმედებით აღსავსენი, გებრუნეთ ერის გამრავლებისთვის და შვილების სახელოვანი მამამეილური აღზრდისათვის. თქვენს სიცოცხლეს გაუძიქოს!

ელგაჯა ორჯონიძე

ბორჯომის საპატიო მოქალაქე,

ვეტერანი სამთო მოთხილამურე

დედაზე თქველი

-დედის სიყვარული არის ყოვლისშემძლე, ეგოისტური, თვითმყოფადი და ამავედროულად უანგარო, რომელიც არაფერს და არავის ემორჩილება.

თაღო რაჩიშვილი

- ჩვენ გვიყვარს ჩვენი დები, ცოლები და მამები, მაგრამ ტანჯვაში მხოლოდ დედები გვახსენდება.

ნიკოლაი ნაქარსოვი

- ნამდვილი დეობა გამბედაობაა.

მარიამ მუხამაძე

- დღე არა, რამოდენიმე საათიც მეყოფა და ვეტყვი დედას, რომ მიყვარს, მიყვარს ყველაფერი ის, რაც მან გააკეთა, მიყვარს იმიტომ, რომ მან ყველაფერი დაძლია, მიყვარს მისი სიცოცხლე, მისი ცხოვრება, რომელზეც არასოდეს არავინ დაფიქრებულა. ვეტყვი, რომ დიდ პატივს ვცემ.

სინა გენა სუკი

- ერთადერთი, რაც აერთიანებს ყველა ქალს, იმის გააზრებაა, რა რთულია ახალი ცხოვრების გაჩენა.

გაბი სიშიბი

ადამიანს გაუთვითცნობიერებლად უყვარს დედა, იმიტომ რომ ეს მისთვის ისეთივე ბუნებრივია, როგორც სუნთქვა. და მხოლოდ უკანასკნელი გამოთხოვების ყამს ის ხვდება, როგორ ღრმად აქვს ფეხები გადგმული ამ სიყვარულს. სხვა არცერთი მიჯაჭვულობა არ შეედრება ამ გრძნობას, რადგან სხვა ყველა, შემთხვევითობაა, ეს კი თანდაყოლილია. ყველა სხვა მიჯაჭვულობა ჩვენს ცხოვრებაში შემდეგში ჩნდება, დედის სიყვარული კი სისხლში აქვს ადამიანს დაბადებიდან.

გი და მოვასანი